საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 245 (773) შაბათი, 13 ნოემბერი, 1993 წელი ფასი 200 კუპონი.

ედუარდ შევარდნაძე: ძირითადი ამოცანა, შედარებით ნაკლები მსხვერპლითა და დანაკარგებით, — გადაწყვეტილია. ყველა რაიონში შეიქმნა ხელისუფლების ორგანოები. მოსახლეობას მოსწყურდა წესრიგი და ნორმალური ცხოვრება. ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარია ის, რომ არის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერა. ხალხმა დაინახა, თავად იწვნია, თუ რას ნიშნავს ექსპრეზიდენტისა და მისი მომხრეების ცხოვრებისა და ხელმძღვანელობის წესი. ისინი ელემენტარული ქურდები, შავი, ბინძური ძალაა, რომელმაც უკიდურეს პირობებამდე მიიყვანა ადამიანები. გაძარცვეს ყველაფერი, რისი გაძარცვაც შეიძლებოდა. გაიტაცეს წითელი ჯვრის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქვეყნების ჰუმანური დახმარების ტვირთი. არის დანაშაული, რომელსაც მხოლოდ ფსიქიკურად დაავადებულები თუ ჩაიდენენ. მათ, ასე ვთქვათ, სამუშაო ოთახებში ნაპოვნია საბუთები, რომლებიც პირდაპირ ამტკიცებს, რომ მათ გაყიდეს სოხუმი, რომ სწორედ მათი ღალატის შედეგად დაეცა ქალაქი. მათ აბსოლუტურ სიბნელეში ჰყავდათ ხალხი: არავითარი პრესა, ტელევიზია, არავითარი საღი აზრი, იყო მხოლოდ და მხოლოდ გამსახურდიასა და მისი იდეოლოგების პროპაგანდისტული გამოსვლები და მიტინგები.

პირველი სვეტი

ცნობები დასავლეთ საქართველოდან

ფოთში სიმშვიდეა, კრიმინოგენური ვითარება კონტროლს ექვემდებარება. შავი ზღვის ფლოტის სამხედრო კონტინგენტი საიმედოდ იცავს ნავსადგურს, ქალაქის შემოსასვლელებს სარკინიგზო და საავტომობილო გზებს, ცხვება პური, არის ელექტროენერგია, მოსახლეობას სიებით ურიგდება შაქარი. იმის მიუხედავად, რომ სატრანსპორტო სამსახურის ბაზა გაძარცულია, ქალაქში მაინც გამოჩნდა პირველი ტრანსპორტი. ჯერჯერობით მუშაობს ტროლეიბუსი და ერთი ავტობუსი. ფოთში უკვე შემოდის კომერციული ტვირთი.

სამტრედიაში უკვე მოისპო მაროდიორობა, მოწესრიგდა სამეურნეო სამსახური, ცხვება პური. ქალაქს, რაიონს არა აქვს გაზი, რადგან ადიდებულმა რიონმა გაწყვიტა გაზის მთავარი-მაგისტრალი, მიმდინარეობს აღდგენითი სასამუშაოები. მიმდინარეობს ომის გამო დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღრიცხვა შემდგომი აღდგენა-განახლებისათვის.

უელექტროენერგიოდ...

11 ნოემბერს, დილით რესპუბლიკა უელექტროენერგიოდ დარჩა. საქინფორმის კორესპონდენტმა ამ ფაქტის კომენტარი სთხოვა ენერგეტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს ომარ ხელაძეს:

— მანამდე ორი დღით ადრე ხაშურის რაიონში ჩადენილი იყო დივერსიული აქტი — ააფეთქეს ორი მაღალი ძაბვის ხაზის ანძა, რომელიც ენგურჰესს აღმოსავლეთ საქართველოსთან აკავშირებს. ამის გამო ხაშური გახდა ენგურჰესთან [illegible] განხორციელებული მაღალი ძაბვის ხაზი — 220-ის საშუალებით. 11 ნოემბრის 14 საათისათვის გაჩერდა ენგურჰესის მოქმედი ენერგოაგრეგატი ძალური კაბელის დაზიანების გამო. შექმნილ კრიზისულ სიტუაციაში, — თქვა მან, — აზერბაიჯანმა ობიექტური მიზეზებით არ მოისურვა მკვეთრად შეცვლილი რეჟიმით მუშაობა საქართველოს ენერგოსისტემასთან — დროებით შეგვიწყვიტა ელექტროენერგიის მოწოდება. ავტომატურად გაჩერდა თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ენერგობლოკები, რესპუბლიკა უშუქოდ დარჩა.

რამდენიმე საათის შემდეგ „საქენერგოს" ენერგეტიკოსებმა ჩიხიდან სისტემის გამოყვანის არაერთგზის მცდელობის შედეგად თანდათანობით მოაწესრიგეს იგი, და ამაში არსებითი როლი შეასრულეს მათმა აზერბაიჯანელმა კოლეგებმა, რომლებმაც საქართველოს მოაწოდეს 5 მეგავატი ელექტროენერგია.

თენგიზ ჩხიკვაძე.

იმაზე, თუ რა უარყოფითი შედეგი გამოიღო ამ ფაქტმა, დღევანდელი ნომრის მე-2 და მე-3 გვერდებზე გაცნობებთ.

გაზეთები ვერ დაიბეჭდა

დედაქალაქში დენის ჩამორთვამ ძალაუნებურად პრესაზეც იმოქმედა. გუშინ, მაგალითად, უნდა გამოსულიყო 12 დასახელების გაზეთი — „საქართველოს რესპუბლიკა" (ტირაჟი 70000), „ივერია ექსპრესი" (12000), „თბილისი" (10000), „განათლება" (8200), „ლიტერატურული საქართველო" (11900) და ასე შემდეგ...

სამწუხაროდ, ახალი გაზეთების გარეშე დარჩა რესპუბლიკის მოსახლეობა.

ამ დღეებში

გვაცნობებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

სათქმელი უნდა ითქვას

პირველი რიგის საკითხი

დღეს საქართველოს არა აქვს უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა, ვიდრე ურთიერთობის გარკვევა და ჩამოყალიბება რუსეთთან. ყველა იმ სახელმწიფოსთან, რომლებიც შედიან „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში". ამ სამი წლის მანძილზე, ნაცვლად იმისა, რომ იგი პირველ რიგში დაგვესვა საერთოდ, ავუარეთ მას გვერდი და ავირჩიეთ „ხირაქლემას კომპლექსის" გზა. ამ საკითხის განხილვის აუცილებლობა სცილდება სასურველისა და არასასურველის ფარგლებს, იგი ობიექტური რეალობაა, რომლის უგულვებელყოფა ნორმალურ ცნობიერებას არ შეუძლია.

რუსეთთან ურთიერთობის სხვადასხვა ფორმა შეიძლება გავარჩიოთ; ერთია კონფრონტაცია. ეს ნიშნავს იმგვარ ურთიერთობას, რაც საქართველოს სრულ განადგურებას უქადის. საქართველო არანაირად არ უნდა ჩაებას რუსეთთან კონფრონტაციაში. თუ მილიონი შესაძლებლობიდან არ არსებობს გამარჯვების არცერთი პროცენტი, ბრძოლაში ჩაბმა აბსურდია, ისეთი უგუნურებაა, რომლის შედეგი მხოლოდ განადგურებაა. ერს არა აქვს უფლება დაადგეს თვითგანადგურების გზას.

სვამენ ასეთ კითხვას: რა უნდა ვქნათ, თუ რუსეთის რეაქციული ძალები თვითვე გვეომებიან? ახლა ჩვენ შორს წაგვიყვანს იმის შესახებ მსჯელობა, თუ რა უნდა გვექნა, ვისი ბრალია, რის ბრალია. ამჯერად ჩვენ მკაფიოდ უნდა განვსაზღვროთ ვისთან, რასთან გვაქვს საქმე; რა გზა, რა ხერხი, რა მეთოდი უნდა გამოვნახოთ, რომ არ ჩაგვაბან საომარ ურთიერთობაში; უნდა ავირჩიოთ გონების გზა, რომელიც დაეფუძნება არა გულის მოფხანის პოლიტიკას, არამედ პირველ ყოვლისა, სიცოცხლეს შეუნარჩუნებს საქართველოს, [illegible], მის მკვიდრთ.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ახლანდელი კატასტროფული მდგომარეობა ჩვენი პოლიტიკის ბრალიცაა. ყველაფრის სხვისთვის დაბრალება სირცხვილიცაა. თუ ჩვენ ვერ შევძელით ჩვენი შეცდომის დანახვა, ვერც შემდგომ წარვმართავთ სწორ პოლიტიკას. საქართველოს ისტორიაში წერია: „საფრთხე იდგა ქართველობის მოშლისა" (ნ. ბერძენიშვილი). ხშირად იდგა და ახლაც დგას „საფრთხე ქართველობის მოშლისა". თუმცა უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება დამამშვიდებლად მოგვეჩვენოს აპოკალიფსური საფრთხე მთელი კაცობრიული ცივილიზაციისა.

როგორც სხვა ქვეყნების, ასევე რუსეთის მიმართაც შეიძლება განვიხილოთ საქართველოს, როგორც აქტიური ნეიტრალიტეტის ქვეყნის, სტატუსის საკითხიც. ეს ყველაზე უფრო სასურველი ფორმა იქნებოდა. მაგრამ იმ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, უაღრესად დინამიურ პოლიტიკურ-სოციალურ გარემოცვაში, რომელშიც ჩვენი ქვეყანა იმყოფება. ეს ფორმა სახელმწიფოებრივი ურთიერთობებისა მხოლოდ სასურველობად რჩება და არა რეალობად.

მესამე ფორმა რუსეთთან ურთიერთობისა, შეიძლება განვიხილოთ როგორც სახელმწიფოებრივი ურთიერთთანამშრომლობისა და მეგობრობის ფორმა, როდესაც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური, ადამიანური ურთიერთობის ანალოგიით განიხილება, ესაა პოლიტიკური პრიმიტივიზმის აშკარა გამოხატულება. სახელდობრ, „როგორ ვიმეგობროთ ქვეყანასთან, რომელთანაც ომი გვაქვს", რომელმაც გვაწყენინა და ა. შ. რომელ ქვეყანას არ ჰქონია მეზობელ ქვეყანასთან ომი ან კონფლიქტი. ასეთები ისტორიაში იშვიათია. ომი ჩვენ თვითვე გვაქვს ჩვენს თავთან. ისტორიაში ძნელად მოიძებნება ისეთი მძვინვარე მტერი, როგორც ჩვენი თანამემამულენი აღმოჩნდნენ, დაუნდობლად რომ ანადგურებენ ქალაქებსა და სოფლებს, მშვიდობიან მოსახლეობას, აფეთქებენ ხიდებს, საკომუნიკაციო საშუალებებს, რკინიგზებს, ბლოკადას უკეთებენ თავის თანამოძმეებს, დაქირავებულ გადამთიელებთან ერთად ცეცხლითა და მახვილით უსწორდებიან მშობელ ქვეყანას, დაუფარავად ალიანსში არიან აფხაზეთში ქართველთა მიმართ გენოციდის მომწყობ ძალებთან; მათი აშკარა თანამებრძოლობით დაეცა სოხუმი. თუ მოვლენებს შესაბამისი სახელები არ დავარქვით, თუ მტერს მტერი არ ვუწოდეთ. ესეც იქნება ჩვენი ფიზიკური განადგურების პოლიტიკური მიზეზი.

რუსეთთან მტრობას რომ მეგობრობა სჯობია, ამის შესახებ ნორმალური ადამიანი არ უნდა კამათობდეს. ეს კი დიდადაა დამოკიდებული ჩვენს გონიერებაზე.

ამასთან, ზოგიერთი სევდიანი განცხადება, რომ „სნგ"-ში ჩვენი შესვლა ჩვენი ტრაგედიაა, რომ ესაა დაჩოქება და ა. შ. ამცირებს ჩვენს ღირსებას, და არ არის სასურველი ინტერპრეტაცია. ჩვენ რუსეთთან და თანამეგობრობის ქვეყნებთან ჯანსაღი, მორალურ-ფსიქოლოგიური თანასწორობა გვინდა. „აი, რომ მიჭირს იმიტომ მოვედი შენთან", — ეს არის დამამცირებელი, პირველ რიგში თვით ჩვენთვის. რამდენად უფრო გულღია და ნდობით სავსე იქნება ეს ურთიერთობა, იმდენად უფრო ნაკლები გვექნება პრობლემები. დღევანდელი პოლიტიკის, თითოეული ჩვენი აზრისა და სიტყვის მიზანი უნდა ემსახურებოდეს შედეგს — რას მოუტანს იგი ჩვენს ქვეყანას.

საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოებრიობის აზრი რუსეთთან ურთიერთობის შესახებ მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს. ეს ნიშნავს, რუსეთმა უნდა იცოდეს, რას ფიქრობს მის მიმართ საქართველო და პირიქით. ჩვენი პოზიცია რუსეთთან უნდა იყოს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ძმობის საფუძველზე დაფუძნებული. რა თქმა უნდა, მხოლოდ ამგვარი სურვილებით, დეკლარაციებითა თუ ლოზუნგებით საქმეს არ ეშველება. საჭიროა ჩვენი სახელმწიფოებრივი კონცეფციის ჩამოყალიბება და მისი რეალიზების მექანიზმების ორგანიზება. არცერთი დემოკრატიული სახელმწიფო არ არსებობს თავისი პოლიტიკური კონცეფციის გარეშე. ჩვენი კონცეფცია უნდა განსაზღვრავდეს საქართველოს სახელმწიფოებრივ თვალსაზრისს და უნდა უზრუნველყოფდეს მის განხორციელებას საკანონმდებლო საფუძველზე, საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით.

> **„ისე მჭიდრად, ისე მაგრათა ვართ ჩვენ რუსეთთან დაკავშირებული და შეერთებული, რომ ყოველს იმის სუნთქვაზედ, ყოველს იმის ცხოვრების ავსა და კარგს [illegible] ჩვენი ქვეყანაც ბანს უნდა აძლევდეს. თუ რუსეთში კარგად მიდის საქმეები, ჩვენც კარგად ვართ; თუ იქ რომელიმე მოვლენამ შეაფერხა საზოგადო ცხოვრება, უეჭველია, ეს შეფერხება არც ჩვენ აგვცდება". („დროება", № 6, 1888, გვ. 1).**
>
> **ილია ჭავჭავაძე.**

ხალხთა მეგობრობის იდეა სრულიადაც არ არის კომუნისტური იდეოლოგიის მონაპოვარი. კომუნისტური იდეოლოგია მას კონიუნქტურულად იყენებდა. ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის იდეის პრიორიტეტი მსოფლიო რელიგიებს ეკუთვნის, იგი თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის, საკაცობრიო ჰუმანიზმის ქვაკუთხედია. რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის, სულიერი აღორძინების ნიშნად, უმნიშვნელოვანეს დოკუმენტად უნდა მივიჩნიოთ — „ორი მოძმე მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურების, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი II-ისა და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის.

მიმართვა

რუსეთის პრეზიდენტს ბატონ ბ. ნ. ელცინს და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ე. ა. შევარდნაძეს, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტებს, მთავრობებსა და ხალხებს.

საუკუნეთა მანძილზე — ნათქვამია დოკუმენტში — რუსეთისა და საქართველოს ხალხები, მართლმადიდებელ სარწმუნოების ერთიანობით შედუღაბებულნი, ცხოველმყოფელი კავშირით შეერთებულნი, მხარდამხარ მიდიოდნენ ისტორიული გზით. ეს გზა ყოველთვის როდი იყო იოლი. იგი დღესაც ძნელი და ნარეკლიანია...

დარწმუნებული ვართ, რომ ახლანდელი კრიზისის დაძლევა წარმოუდგენელია, თუ არ დამყარდება თანხმობისა და კეთილმეზობლობის ურთიერთობა ქართველთა, აფხაზთა, რუსთა, სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ერთობლივი ბინადრობის ადგილებში. ჩვენ გვჯერა, რომ შერიგების უმნიშვნელოვანესი საშუალება უნდა გახდეს ერთმორწმუნეთა, ქრისტიანთა და მაჰმადიანთა, აგრეთვე განსხვავებული მსოფლმხედველობის თუ მრწამსის ადამიანთა კეთილი თანამშრომლობა...

საქართველოსა და რუსეთის წმინდანთა ლოცვა-კურთხევა და ღვთის წყალობა ნუ მოჰკლებოდეთ ჩვენს ხალხებს და სახელმწიფოებს".

ჭეშმარიტად ღვთივკურთხეული პატრიარქების ილია II-ისა და ალექსი II-ის ამ მოწოდებას არ შეიძლება არ ერწმუნოს მორწმუნე. საქართველო იყო და იქნება ეროვნულ ურთიერთობათა, სარწმუნოებრივი ურთიერთშემწყნარებლობის კურთხეული ქვეყანა. ამიტომაც დაიფარავს მას უფალი. სიძულვილი — წყევლა, ლანძღვა, მუქარა, გინება — არ არის ღვთისაგან. მხოლოდ სიყვარული არის უფლისაგან, უფალი გააერთიანებს საქართველოს.

სავალალოა, რომ ამ ბოლო წლებში ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა გადასწვდა იმ დიდებით ღირებულებებსაც, რომელთა აღდგენა დღეს დიდ რუდუნებას მოითხოვს.

ჩვენი შემოქმედი და სამეცნიერო ინტელიგენციის, პოლიტიკური პარტიების თუ ფართო საზოგადოებრიობის ვალია, შემოვაბრუნოთ ჩვენსკენ, ჩვენი ქვეყნისაკენ ყველა განაწყენებული ქვეყანა, ჯგუფი თუ პიროვნება, რომელთა შემობრუნება სასურველი და შესაძლებელია. ჩვენი პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ინტელექტუალური გარჯის მიზანი უნდა გახდეს — საქართველოს მტრების ნაცვლად მეგობრები ვუმრავლოთ. ეს დიდი და რთული ამოცანაა. ჩვენ ხელახლა უნდა დავანახოთ მსოფლიოს ქართველი ხალხის, ჩვენი სასიქადულო მამა-პაპის მაღალი რჯულის სულისკვეთება, ჩვენი წინაპრები ბრძენი და მაღალი კულტურის ადამიანები იყვნენ და კარგად იცოდნენ სიბრძნის პრაქტიკულად განხორციელების ყადრი. „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია".

საჭიროდ მიგვაჩნია, ავამოქმედოთ ყველა ის ინსტიტუტი, რომელთაც ხელთ ეპყრათ და უპყრიათ ტრიბუნა ხალხებს შორის, ქვეყნებს შორის კეთილი ურთიერთობის შესაქმნელად და განსამტკიცებლად ამ მიზნით, ვფიქრობთ, დროულია თუ დაგვიანებული არა, შევიმუშაოთ გარკვეული გეგმა.

1. სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის ურთიერთობის მარეგულირებელი ინფორმაციაა. სწორი ინფორმაცია არის საფუძველი სწორი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. დღეს ასეთი გამოთქმები შემოვიდა ჩვენს ლექსიკონში. „საინფორმაციო ომი", „საინფორმაციო ბრძოლა". სამწუხაროდ, ინფორმაციული უპასუხისმგებლობა არის ხშირი მიზეზი ეთნოკონფლიქტებისა, რომლებსაც ათასობით ადამიანთა სიცოცხლე ეწირება. ინფორმაციის სახელმწიფოებრივი არხები, ხშირ შემთხვევაში არ ექვემდებარება კანონის ფარგლებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ერთი გადაბრუნებული სიტყვა, ფაქტის არასწორი ნიუანსით წარმოდგენა უდიდესი უბედურების საბაბი ხდება.

პირველი, რითაც სახელმწიფოებრივი ურთიერთობის მოგვარება უნდა დაიწყოს, ეს არის საინფორმაციო საშუალებათა სრული პასუხისმგებლობის პირობების უზრუნველყოფა. განსაკუთრებული მნიშვნელობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათაგან, ცხადია, ენიჭება ტელევიზიას. რაღა ატომური ღილაკი და რაღა სატელევიზიო ინფორმაციის საშიშროება საომარ პირობებში მყოფი ქვეყნისათვის. ტელევიზია არც თვითდინებაზე შეიძლება იქნას მიშვებული, მას უნდა ჰქონდეს ზნეობრივ-გონებრივი კონტროლი. ტელევიზია ხელს უნდა უწყობდეს ქვეყანას ორიენტაციის გარკვევისათვის და არ უნდა გახდეს დეზორიენტაციის საშუალება. მან ხელი უნდა შეუწყოს ხალხთა შორის, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ნორმალიზებას და არა პირიქით, არ უნდა გვევლინებოდეს ცეცხლზე ნავთის დასხმის როლის შემსრულებლად. „სატანა სთიშავს, უფალი აერთიანებს", ეს სიტყვები ყოველთვის უნდა გვახსოვდეს. არანაირი უკანდახევა პრინციპებზე, მაგრამ ტელევიზიამ უნდა აღადგინოს სულიერ ურთიერთობათა, სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა ბევრი დალეწილი ხიდი. ამდენად საჭიროა რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიას შორის ხელშეკრულება სახელმწიფოებრივი

(დასასრული მე-2 გვ.).

ლაე, მთელს ჩვენს მიწაზე სიცოცხლემ გაიმარჯვოს სიკვდილზე, ურთიერთგაგებამ—დაპირისპირებაზე, მეგობრობამ—მტრობაზე!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიმართვა

ძვირფასო თანამოქალაქენო, აფხაზეთის მცხოვრებნო!

საუკუნეების მანძილზე ქართველ და აფხაზ ხალხებს სისხლისმიერი ნათესაობა, კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ. ერთად გადაგვიტანია გამარჯვებათა სიხარულიცა და მძიმე დანაკლისისა და მარცხის სიმწარეც. ჩვენს ისტორიულ გზაზე ყოფილა წყენაც, უსამართლობაც, გაუგებრობაც, მაგრამ გონებისა და სიკეთის შუქი მუდამ ამარცხებდა ბოროტებასა და უნდობლობას, ავის მოსურნეთა და პროვოკატორთა ხრიკებს. საუკუნეთა განმავლობაში აფხაზები და ქართველები არა მდგარან ბარიკადების სხვადასხვა მხარეს, არ უომიათ ერთმანეთის წინააღმდეგ.

და აი, ახლა, მსოფლიო ცივილიზაციის აყვავების, მეტ წილ სახელმწიფოებში ჰუმანიზმის, დემოკრატიისა თუ ადამიანის უფლებათა როლის და მნიშვნელობის ამაღლების პერიოდში, აფხაზ სეპარატისტთა ჯგუფმა, ხელთ იგდო რა ძალაუფლება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ხანგრძლივი და გულდასმითი საომარი მზადების შემდეგ, შეძლო კიდეც მისი პროვოკაციულად გამოწვევა. მხეცურად დახვრეტილი, ნაწამები და აფხაზეთიდან პრაქტიკულად გაძევებულია მთელი ქართველი მოსახლეობა. დანგრეულია ათობით ქალაქი და სოფელი, გაძარცვული და გადაბუგულია ათიათასობით საცხოვრებელი სახლი, საავადმყოფო, სკოლა, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, კულტურისა და ისტორიის ძეგლები, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო საწარმოები, დასვენების, ტურიზმისა და სპორტის კომპლექსები, სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შენობები; მწყობრიდან არის გამოყვანილი ტელე და რადიოკომუნიკაციები, ელექტრო და წყალსადენი ქსელი. აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებს ემუქრება ქოლერისა და შავი ჭირის ეპიდემია. არის ამის პირველი სიგნალებიც.

ათიათასობით ადამიანმა სახლკარი და ქონება მიატოვა და სვანეთის მთის ბილიკებით, ფეხით, შიმშილითა და სიცივით განაწამებმა ძლივს დააღწია თავი ნამდვილ ჯოჯოხეთს. ასობით ბავშვი და მოხუცი, ქალი და ინვალიდი დაიღუპა გზაში, რომელიც მათთვის, ფაქტობრივად, სიკვდილის გზა გახდა.

დღესაც გრძელდება ეგრეთ წოდებული კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის წარმომადგენლებისგან შედგენილი ბანდიტური ფორმირებების ველური, სისხლიანი ორგიები. უმაგალითო სადიზმით ეწევიან ისინი თვითნებობას საქართველოს დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ნამუსს ხდიან ქალებს, აკვნებში ახრჩობენ ჩვილებს, მაროდიორობენ, სპობენ ჩვენს წინაპართა კერას, საუკუნეთა მანძილზე რომ ქმნიდნენ და მართავდნენ.

ადამიანებს, რომლებმაც ხელი აღმართეს და მხეცურად აწამეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა, სხვაგვარად ვერ უწოდებ, თუ არა მეოცე საუკუნის დამლევის ბარბაროსებს. შარტავას სახით მათ მოკლეს არა მარტო პიროვნება, თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, არამედ ადამიანი, რომელიც განასახიერებდა აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური, მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, ჩვენი ხალხების ურთიერთგაგებისა და ერთიანობისათვის აქტიური მებრძოლის მაღალ მორალურ-ზნეობრივ თვისებებს.

აღვირახსნილმა სეპარატიზმმა კითხვის ქვეშ დააყენა თვად აფხაზი ერის არსებობა, მისი გენოფონდი გაქრობის პირას მიიყვანა. მძიმე ხვედრი ხვდა აგრეთვე წილად ათიათასობით რუსს, სომეხს, ბერძენს, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს, რომლებიც იძულებული გახდნენ აფხაზეთის ქალაქებისა და სოფლების სისტემატური დაბომბვის, ნგრევისა და ძარცვის გამო მიეტოვებინათ საკუთარი კერები და გადასახლებულიყვნენ ავტონომიური რესპუბლიკისა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

დღეს ეს მოქმედება ცალსახად აქვს შეფასებული მსოფლიო საზოგადოებრიობას, მის წარმომადგენლობით ორგანოებს, როგორც გენოციდი, ეთნიკური წმენდა და დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.

ამ სისხლიან მოვლენათა ფონზე კიდევ უფრო მკრეხელურად და თავხედურად გაისმის რესპუბლიკაში აურაცხელ ტრაგედიათა უშუალო მიზეზის ვ. არძინბას ამასწინანდელი განცხადება, რომ იგი „მზად არის დაიცვას აფხაზეთის ყველა მოქალაქე მათი ეთნიკური კუთვნილებისა და პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად". ანდა რად ღირს ეგრეთ წოდებული კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პარლამენტისა და საპრეზიდენტო საბჭოს უპასუხისმგებლო და ცინიკური განცხადება, რომლითაც ცდილობენ აფხაზეთის ტრაგედიისათვის დანაშაული საქართველოს რესპუბლიკას დააკისრონ. რომ იტყვიან, „ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო", ჭეშმარიტად ის არის.

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება

წალენჯიხის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის შესახებ

დაინიშნოს დავით ქანთარია წალენჯიხის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

განთავისუფლდეს შახი ლატარია წალენჯიხის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან პირადი განცხადების საფუძველზე.

ე. შევარდნაძე.

* * *

დავით გიორგის ძე ქანთარია დაიბადა 1966 წელს, წალენჯიხის რაიონის ქალაქ ჯვარში.

1990 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი. მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციებში ეკონომისტად, სახელმწიფო საბჭოს რეფერენტად, სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონების მართვის სამსახურის სახელმწიფო მრჩევლად.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

პურის საცალო ფასების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით დამტკიცდა და 1993 წლის 16 ნოემბრიდან სამოქმედოდ შემოღებული იქნება პურის საცალო ფასები. ამასთან დაკავშირებით დარგის მარცვალგადამმუშავებელ და პურსაცხობ საწარმოებს დაუწესდათ ზღვრული რენტაბელობა 10 პროცენტის ოდენობით.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო გამოსცემს პურის საცალო ფასების პრეისკურანტს.

საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტების კორპორაცია, ცეკავშირის გამგეობა პურის საცხობად განკუთვნილი ფქვილის რესურსების 10 პროცენტამდე გამოიყენებენ განსხვავებული ასორტიმენტის საწარმოებლად, რომლის საცალო ფასს თვითონ მოაწესრიგებენ, რეალური დანახარჯებიდან გამომდინარე 10-პროცენტიანი ზღვრული რენტაბელობის ფარგლებში. ამ წესით გამოყენებული ფქვილის (შესაბამისი ხორბლის) რაოდენობა გამოირიცხება სახელმწიფო დოტაციის გაანგარიშებებიდან.

მიღებულ იქნა ცნობად, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 28 ოქტომბრის 774 დადგენილებით გათვალისწინებულია პურის საცალო ფასების გადიდებასთან დაკავშირებით მოსახლეობის დამატებითი ხარჯების სრული კომპენსაცია მოხმარების საშუალო ნორმის ფარგლებში.

ერთი კილოგრამი პური საშუალოდ 700 კუპონი ეღირება.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესმდივნის განცხადება

11 ნოემბერს დილით რუსეთის ტელევიზიამ თავის საინფორმაციო გამოშვებაში განაცხადა, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე ესწრაფვის საქართველოს გაერთიანებას. როგორც კომენტარში ითქვა, ამ მიზნით სამთავრობო ძალები აპირებენ გამოიყენონ ტანკები, მძიმე ტექნიკა და სამხედრო ავიაციაც. კომენტარის ავტორმა მთელი რიგი სხვა მოულოდნელი მტკიცებანიც შემოგვთავაზა. მაგალითად, როცა ლაპარაკობდა იმაზე, რომ მომავალ, კორესპონდენტის თვალსაზრისით, ოპერაციებში რუსეთის ჯარები მონაწილეობას არ მიიღებენ, რუსეთის ტელევიზიამ ცხადად და საკმაოდ გასაგებად მიანიშნა უკვე დაგეგმილ სამხედრო შეჭრის შესაძლებლობაზე. უფრო მეტიც, განცვიფრება გამოიწვია იმ სიტყვებმა, რომ რუსეთის ჯარებს არ სურთ იყვნენ „მშვიდობიანი მოსახლეობის გაჟლეტის ხელშემწყობნი", ისევე როგორც განცხადებამ, რომლის თანახმად „კარგად არის ცნობილი, თუ რით დამთავრდა საკითხის ძალით გადაწყვეტის წინა ცდა".

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნის აზრით, შეუწყნარებელია ამასწინანდელი ტრაგიკული ამბების ესოდენ თვითნებური შეფასება და პროცესების მოსალოდნელი განვითარების წინასწარ აღწერის ცდა.

ჩვენ აგრეთვე ვფიქრობთ, რომ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის შტაბ-ბინის სოხუმში გადატანა სხვა არა არის რა, თუ არა იმის კანონსაწინააღმდეგო ცდა, რომ დაუქვემდებარონ აფხაზეთი კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პოლიტიკურ და ტერიტორიულ ინტერესებს.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი მზად არის დაადასტუროს, რომ საქართველო ვერასოდეს შეურიგდება აფხაზეთის იძულებით ჩამოშორებას, ამიტომ, ადრე თუ გვიან, ეს ავტონომიური რესპუბლიკა კვლავ ერთიანი ქართული სახელმწიფოს განუყოფელი, შემადგენელი ნაწილი გახდება. ასეთი განზრახვა შეესაბამება საქართველოსა და მთლიანად კავკასიის რეგიონში კანონიერების, ისტორიული სამართლიანობის, მშვიდობისა და სტაბილურობის ინტერესებს. სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს მართლაც არაერთგზის ხაზგასმით აღუნიშნავს, რომ აფხაზეთს დავიბრუნებთო, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ერთგულება ნებისმიერი პრობლემის, თუნდაც ყველაზე სადავო პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისადმი ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

„ვესტის" ამ ცნობის გამო თავის კომენტარში ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ იგი სთხოვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ნუ გაართულებენ სიტუაციას, რომელიც ისედაც სერიოზულ გართულებათა საფრთხეს ქმნის. ამგვარი უსაფუძვლო გამოხდომები მკვეთრად ეწინააღმდეგება საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ახლანდელ მდგომარეობას, მისი თანდათანობით განვითარებისა და გაუმჯობესების ტენდენციას.

დელეგაცია თურქეთს გაემგზავრა

12 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაცია ვიცეპრემიერის ავთანდილ მარგიანის ხელმძღვანელობით ორდღიანი ვიზიტით თურქეთს გაემგზავრა. ვიზიტის მიზანია თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი კრედიტიდან შეძენილი 60 ათასი ტონა ხორბლის ტრანსპორტირების ორგანიზაციის უზრუნველყოფა.

გაიმართება აგრეთვე შეხვედრები თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან და თურქეთის მთავრობის წევრებთან.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

კარიკატურისტის თვალით


ესენგეში არა!
ესენგეში არა!
ესენგეში არა!
ოპოზიცია
ესენგე არა
ოპოზიცია

მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

[illegible]

მარათონი

14.05 საათზე ქალაქში შუქი ჩაქრა და, როგორც ამ ბოლო დროს ხდება ხოლმე, მიწისქვეშეთ დარჩენილთ, ფიქრი ინსტიქტურად მიწისქვეშეთში მყოფებისკენ გაგვექცა... ვინც ამ სახის ტრანსპორტით სისტემატურად სარგებლობს, მისთვის ძნელი წარმოსადგენი არაა, რამდენი ხალხი დაადგა ფეხით გზას გვირაბის ბოლოსკენ.

როგორც თბილისის მეტროპოლიტენის უფროსის თანაშემწემ თემურ რატიანმა გვითხრა, ამ დროისათვის ძირითად ხაზზე მოძრავი 25 მატარებლიდან 14, ხოლო საბურთალოს ხაზზე მოძრავი 7 მატარებლიდან ერთი მოხვდა გვირაბში... დაიწყო მგზავრების ევაკუაცია უახლოესი სადგურებისკენ..

მოგეხსენებათ, საზოგადოების სიჭრელის ამბავი, მით უმეტეს, როცა სიტუაცია ექსტრემალურია, ყველას როდი ჰყოფნის ნერვები... მძიმე შრომა გასწიეს მეტროპოლიტენის თანამშრომლებმა და მიაღწიეს იმას, რომ მიწისქვეშეთში პანიკა არ ყოფილა. ბევრმა მოქალაქემ თვითონ იმარჯვა, ბევრი ერთმანეთს მიეხმარა და დაღლილ-დაქანცულებმა ჩაბნელებულ, პარალიზებულ, უტრანსპორტო თბილისში ამოაღწიეს და კვლავ ფეხით დაადგნენ გზას შინისაკენ.

— ბატონო თემურ, ამბობენ გვირაბში წყალიც დადგაო?

— რა თქმა უნდა, დადგა, დენის გამორთვამ წყალსაჭრებიც გამოიყვანა მწყობრიდან და წყალმა დენა იწყო, თუმცა, ამას სერიოზული დაბრკოლება არ შეუქმნია მგზავრებისთვის.

— გვირაბში ალბათ ბნელოდა...

— არა, მეტროში შუქის სრული გამორთვა არასდროს ხდება. ამ შემთხვევაშიც ქალაქის 16 ქვესადგურის 33 შემომყვანიდან ერთდროულად როდის შეწყდა მოწოდება, ამიტომაც, გვირაბში სინათლე იყო, მაგრამ მატარებლების მოძრაობისთვის არ იყო საკმარისი არსებული ძაბვა.

— მორალურთან ერთად რა ეკონომიკური ზარალი განიცადეთ?

— ყოველდღიურად მეტროთი 600 ათასი მგზავრი გადაგვყავს, რაც 12 მილიონი კუპონია, ამ დღეს თითქმის ნახევარი — 325 ათასი მგზავრის გადაყვანა მოხერხდა, თანხაც შესაბამისად ნაკლები იყო. ეს კი ჩვენს ისედაც გაჭირვებულ ეკონომიკას ტვირთად დააწვა...

— ბატონო თემურ, ბოროტი ხმები ამბობენ, რომ დღეს მეტროთი მგზავრობა სერიოზული რისკის ტოლფასია...

— ეს ხმები გაზვიადებულია, მეტროთი მგზავრობისას ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, რადგან, როცა ელექტროდენის სიხშირე რისკის ზღვარს უახლოვდება, მოძრაობას ვწყვეტთ. ასე რომ, რისკის ფაქტორი ფაქტობრივად არ არსებობს.

ფერიდე ბიწაძე.

რკინიგზა პარალიზებული იყო

14 საათსა და 10 წუთზე გამოირთო ელექტროენერგია საქართველოს რკინიგზაზე. შეწყდა მოძრაობა, ტვირთის გადაზიდვა, მგზავრთა გადაყვანა, ყოველგვარი სამუშაო, — გვაცნობა საქართველოს რესპუბლიკის რკინიგზის დეპარტამენტის გადაზიდვების სამმართველოს უფროსმა მამული კიკნაძემ.

— 6 საათის განმავლობაში პარალიზებული იყო მთელი რკინიგზა.

კორესპონდენტის შეკითხვას — რა ზარალი განიცადა რკინიგზამ, მამული კიკნაძემ უპასუხა, რომ ამ შემთხვევაში, რკინიგზის დეპარტამენტის ზარალი კი არ არის მთავარი, არამედ ის, რბილად რომ ვთქვათ, დისკომფორტი, გზაში დარჩენილმა ათასობით ადამიანმა რომ განიცადა.

მომხდარის მასშტაბზე წარმოდგენას შეგიქმნით ასეთი ციფრები: 11 ნოემბერს გრაფიკიდან ამოვარდა 35 სამგზავრო და 15 სატვირთო მატარებელი. თანაც საგრძნობლად — 6 საათით. 12 ნოემბერს, 14 საათისათვის თბილისის სადგურში შემოსული არ იყო ბათუმიდან და ფოთიდან ჩამოსასვლელი სამგზავრო მატარებლები.

6 საათით გაჩერებამ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტი 40-მდე მილიონი კუპონით დააზარალა.

გია იოსელიანი.

სათქმელი უნდა ითქვას

პირველი რიგის საკითხი

(დასასრული)

ურთიერთპატივისცემის ვალდებულებებითა და იმ მაღალი მოქალაქეობრივ[illegible] გათვალისწინებით, რაც აუცილებელია ცივილიზებულ სახელმწიფოთა შორის ღირსეული ადგილის მოპოვებისათვის. სატელევიზიო კომპანიებმა მიზნად უნდა დაისახონ განამტკიცონ ქვეყნებს შორის მეგობრობა, კეთილი ურთიერთობები.

ასევე სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს რუსეთის ფედერაციის ინფორმაციის სამინისტროსა და საქინფორმს შორის ხელშეკრულების დადება, რაც არამარტო ინფორმაციის გაცვლის ტექნიკურ პროცესებს შეუწყობს ხელს, არამედ დასახავს რიგ ეფექტიან ღონისძიებებს პრესის მაღალჰუმანური და სახელმწიფოებრივი მიზნების განხორციელებისათვის.

2. უდიდესი როლი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში სიტყვამ, მწერლობამ შეასრულა. დიდია რუსული და ქართული ლიტერატურების ურთიერთთანამშრომლობის სიკეთის ძალა. ჩვენი კლასიკოსები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვები პეტერბურგის უნივერსიტეტში იყვნენ განსწავლულნი, რუსულ კლასიკას ნაზიარევი. თავის მხრივ დიდი იყო რუსი მწერლების ინტერესი და სიყვარული საქართველოსადმი. დღეს ჩვენ არ გვეგულება ქართველი, ვისაც სკოლა დაუმთავრებია, ვისაც წიგნი აულია ხელში, არ უყვარდეს პუშკინი და ლერმონტოვი. ასევე ინტელიგენციის საყვარელი მწერლები არიან ესენინი, ბელი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, ბუნინი... მოსკოვს რუსთაველის ძეგლი დგას, ჩვენთან პუშკინისა და ლერმონტოვისა... უფრო რთული იყო საბჭოთა იდეოლოგიის რეჟიმის პირობებში რუს და ქართველ მწერალთა შორის ურთიერთობის ბედი. იყო ზიზღის მომგვრელი კონიუნქტურა, სახოტბო ლექსები თუ მოთხრობები იმ ადამიანებზე, რომლებიც ღვთის რისხვას იმსახურებდნენ, მაგრამ მწერლობის ნამდვილი თემა, ადამიანობასა და მეგობრობაზე, არანაირად შეიძლება ამით დაიჩრდილოს, რუსი და ქართველი მწერლების შემოქმედებით თანამოაზრეობასა და თანაგრძნობელობას ჩვენ ქედი უნდა მოვუხაროთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვით მწერლობის თემა — რუს და ქართველ მწერლებს შორის ურთიერთობა, მეგობრობა სარისკო პირობებში, როცა ერთმანეთის შეფარება, ოჯახებში, სიცოცხლის რისკთან იყო დაკავშირებული. მარტო ბორის პასტერნაკისა და ტიციან ტაბიძის მეგობრობა რად ღირს! ყველაფერი ეს თითქოს მივიწყებული გვაქვს ამ ბოლო წლებში. პოლიტიკამ ის მო[illegible]ავწყვიტა [illegible] ფიროებს, რომ ჩვენ კვლავ უნდა დავუბრუ[illegible] შვენიერეს სამყაროს.

გვაქვს თემები. ჩვენს [illegible] გადოებრიობას გაუცოცხლონ ეს დიდი [illegible] ადამიანური თანამეგობრობა ჩვენი მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, შექმნან სათანადო პროგრამა. რუსი და ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების მწერლობის ყოველ წარმომადგენელთან მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ (გ. ფანჯიკიძე, ჯ. ამირეჯიბი, რ. ამაშუკელი, რ. მიმინოშვილი, ჟ. ჩარკვიანი, რ. ჭეიშვილი).

3. ძალიან დიდი როლი შეასრულა ქართულმა და რუსულმა კინემატოგრაფმა ჩვენს ხალხებს შორის სიყვარულისა და მეგობრობის გაღვივების, გაღრმავების საქმეში. ყველა მაღალმხატვრული ფილმი ჰუმანიზმის იდეით არის გამთბარი. კაცთმოძულეობისა და ეროვნული შუღლის გაღვივება ხალხებს შორის ბოროტებაა და მას მომავალი არა აქვს. დღეს კინემატოგრაფს დიდი და ურთულესი თემები, მდიდარი მასალა აქვს. ბოლო წლების ბობოქარი პროცესი კვლავაც სიკეთის, სიყვარულისა და სიკეთის ძიების წყურვილით უნდა აისახოს ჩვენს კინემატოგრაფიაში. ყოველ შემთხვევაში ეს ჩვენი მოქალაქეობრივი სურვილია. სამაგალითო იყო რუს და ქართველ კინემატოგრაფისტთა მეგობრობა და თანამშრომლობა, გაჭირვების ჟამს მყარი თანადგომის, ვაჟკაცობის მაგალითებით აღსავსე ისტორიებით. უნდა ვთხოვოთ კინემატოგრაფისტთა კავშირს (ბატონი ე. შენგელაია) წარმოადგინოს თავისი კონცეფცია, რათა სამთავრობო მხარდაჭერა, ხელშეწყობა ექნეს ამ კეთილშობილურ საქმეს, — საკუთრივ კინემატოგრაფის პრობლემების გადასაწყვეტად და ხალხთა შორის სიკეთისა და ჰუმანიზმის გაღვივების მაღალი ინტერესების განსამტკიცებლად. უნიკალურია ქართული არტისტული ხელოვნება, თეატრალური ხელოვნება. დღეს საქართველოში შიმშილობაა, უმძიმესი გაჭირვებაა. თითქოს უნდა ჩამქრალიყო ყოველგვარი სულიერი ინტერესი, მაგრამ მის წამყვან თეატრებში მაყურებლის ტევა არ არის, საქართველოში დიქტატურის მისვლის პერიოდში პრაქტიკულად აიკრძალა ხელოვნება, ჩაკვდა ხელოვნება. ჩვენი თეატრალური და მუსიკალური კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი სამშობლოდან გაიხიზნენ. გასულ წელს სახელმწიფოს მეთაურის თავმჯდომარეობით შეიქმნა ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტი. ამ კომიტეტმა პრაქტიკულად, მატერიალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით ბევრი ვერაფერი გააკეთა, მაგრამ შესძლო მორალურ-პოლიტიკური ატმოსფეროს შექმნა, რომ ხელოვნება ქართველი ხალხისათვის არ არის ფუფუნება. იგია ჩვენი არსებობის, გამძლეობის [illegible]ლიური წყარო. ამან განაპირობა, რომ მაინც [illegible] შეიქმნა [illegible] პერიოდი. თეატრალური ხელოვნება უმძიმეს მდგომარეობაშია. საგასტროლო ურთიერთობები დიდად ენატრება ჩვენს ხალხს. მაგრამ პეტერბურგში იდგმება ქართული სპექტაკლი, თემურ ჩხეიძის რეჟისორობით, საქართველოში მოღვაწეობას არ წყვეტს რუსული თეატრი, რომლის მსახიობები ყოველი პოლიტიკური გასაჭირის ჟამს ქართველთა გვერდით, როგორც ჩვენი ქვეყნის პატრიოტები, ურყევად დგანან. უნდა ვთხოვოთ თეატრალურ საზოგადოებას (ბატონი გ. ლორთქიფანიძე) წარმოადგინოს ვრცელი პროგრამა.

4. ტექნიკური ცივილიზაციის ეპოქაში წარმოუდგენელია ლაპარაკი მეცნიერული ყოველწუთიერი ინფორმაციის, სამეცნიერო მსოფლიოსთან ინტენსიური კავშირის გარეშე. საქართველოს სამეცნიერო ინფორმაციის 80 პროცენტი რუსეთის მეშვეობით ხორციელდებოდა. ჯერ-ჯერობით ეს კავშირი მთლად არ არის გამწყდარი. თუ მთლად გავწყვეტთ კავშირს, მეცნიერება ვერ იარსებებს. საბედნიეროდ, ჩვენი მეცნიერებათა აკადემია და მასთან ერთად ჩვენი სამეცნიერო-პედაგოგიური დაწესებულებები არ წყვეტენ თავისთავად კავშირებს რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სამეცნიერო ცენტრებთან. ამ კავშირების გაწყვეტა კი არა, გაფართოება არის საჭირო. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მეცნიერებათა აკადემია (ალ. თავხელიძე) უმაღლესი სკოლების ხელმძღვანელები ხელისუფლებას წარმოუდგენენ ეტაპობრივ გეგმას, რაც საშუალებას მოგვცემს ჩვენი სამეცნიერო პოტენციალის გადასარჩენად და განსავითარებლად.

5. კატასტროფული მდგომარეობა აქვს საქართველოს სპორტს. პრაქტიკულად იგი იზოლირებულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სპორტის თითო-ოროლა სახეობას. საქართველოს რესპუბლიკა, თავის მასშტაბებთან შედარებით, მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე იყო მსოფლიო ჩემპიონებით, მაღალი დონის სპორტული მაჩვენებლებით. ეს იყო ჩვენი ხალხის სახელისა და დიდების დემონსტრირების, მისი კულტურული ღირსების წარმოჩენის დიდი ასპარეზი. უნდა ვიზრუნოთ როგორც რუსეთის, ასევე თანამეგობრობის რესპუბლიკების, შავი ზღვის აუზის ქვეყნებისა და მსოფლიოს ყველა განთქმულ სპორტულ ორგანიზაციებთან კავშირის დამყარებისათვის.

წარმოდგენილი ფრაგმენტული წინადადებანი შეიძლება მივიჩნიოთ გარკვეული კონცეფციის შექმნის წინაპირობად. ჩვენი პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრა ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა. საკითხი ეხება ჩვენს ყოფნა-არყოფნას. საით მივდივართ, საით უნდა მივდიოდეთ, რა არის საოცნებო და რა არის შესაძლებელი, მთელი რიგი ელემენტარული კითხვებისა ელემენტარულ, ცხადსა და ჯანსაღ პასუხს მოითხოვს. ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი დანისლული, ბურუსითა და ოცნებებით აღსავსე ცნობიერებით პასუხს ვერ ვცემთ უმარტივეს საკითხებზე. მხოლოდ ჯანსაღი რეალიზმი, საკუთარი ძალების სწორი შეფასება გაგვიყვანს სწორ გზაზე. მე იმედი მაქვს, გააქტიურდება გონიერება. აქტიური უგუნურების შედეგებს ვიმკით. კვლავაც მინდა შეგახსენოთ მოსეს აზრი, ესაია წინასწარმეტყველის მიერ ციტირებული: მე თქვენ გაგარისხებთ, გაგარისხებთ უგუნური ხალხით — ასე მიმართავს ღვთის კაცი გონიერ ხალხს. დადგა ჟამი გონიერების განრისხების.

ვახტანგ გოგუაძე.

დაე, მთელს ჩვენს მიწაზე სიცოცხლემ გაიმარჯვოს სიკვდილზე, ურთიერთგაგებამ—დაპირისპირებაზე, მეგობრობამ—მტრობაზე!

(დასასრული)

დღეს, რაკი საკუთარი თავი და მომხრეები ჩიხში მოაქციეს, გარდუვალი მკაცრი პასუხისმგებლობის, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის შიშით, აფხაზეთის ბედის ახლად გამოჩეკილი მესვეურები უკვე დამფრთხალი ეძებენ თავიანთვის კეთილსასურველი გამოსავლის გზებს, ბედის სასწორზე დებენ აფხაზი ხალხის მონაპოვარს — მის მომავალსა და სახელმწიფოებრიობას, რომელიც მათ არ ეკუთვნით.

ვაანალიზებთ რა ყოველივე მომხდარს, გამოგვაქვს დასკვნა, რომ ვერც ჩვენ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ვერ ვილონეთ ყველაფერი, რათა თავიდან აგვეცილებინა მოახლოებული უბედურება, ვერ გავითვალისწინეთ, თუ რა ვერაგ და უგუნურ მტერთან გვქონდა საქმე. სამწუხაროდ, უკანასკნელ დრომდე ვერ შემუშავდა საომარი მოქმედების სტრატეგიისა და ტაქტიკის რეალური და დასაბუთებული კონცეფცია, მისი კოორდინაცია, იყო მოსახლეობისა და სამხედრო მოსამსახურეთა ნაწილში ღალატისა და პანიკის შემთხვევები. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების იმედით, ვერ განხორციელდა მოსახლეობის ევაკუაციის საჭირო ღონისძიებანი. ძალების კონსოლიდაციისა და სეპარატისტებზე გამარჯვების საქმეში უარყოფითი როლი შეასრულა ცალკეულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა პარტიებმა და გაერთიანებებმა, მათ მიერ თავგზააბნეული და მოტყუებული ადამიანების სხვადასხვა ჯგუფებმა, რომლებმაც კონფედერატებთან და ჩრდილოკავკასიელ დაქირავებულებთან და რუსეთის რეაქციულ ძალებთან ალიანსში, ფაქტობრივად, განაპირობეს დაპირისპირება და წინააღმდეგობა საკუთარ გარემოში, აქედან გამომდინარე, მთელი უარყოფითი და დამღუპველი შედეგებით.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რომლებიც გამოდიოდნენ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ლოზუნგებით, რადიკალური მოთხოვნებითა და მოუფიქრებელი მოქმედებით, ნებსით თუ უნებლიედ, ცუდი სამსახური გაუწიეს ქვეყანას, ზიანი მიაყენეს სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნებისა და ხალხის ერთობის ინტერესებს.

პატივცემულო თანამოქალაქენო, ჩვენო თანამემამულეებო!

უმთავრეს ამოცანად რჩება მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს მეზობლებთან, მეგობრებსა და პარტნიორებთან ახალი, საქმიანი და ორმხრივ ხელსაყრელი ურთიერთობის დამყარება და მშენებლობა. ვხელმძღვანელობთ რა ამ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებით, ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ ერთიანი და განუყოფელი საქართველო, რომლის განუყოფელ ნაწილსაც შეადგენს აფხაზეთი, გაწევრიანდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, მოხდეს მისი ინტეგრაცია შავი ზღვის, ევროპისა და მსოფლიო თანამეგობრობათა სახელმწიფოებთან.

დარწმუნებული ვართ, რომ ეს გახდება მნიშვნელოვანი ხელშემწყობი პირობა, როგორც აფხაზეთში შექმნილი ვითარების ფართომასშტაბიანი მოწესრიგების, ისე მთელს ჩვენს ქვეყანაში და მთლიანად კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების საქმეში. დარწმუნებული ვართ, რომ სულ უფრო მომძლავრებული სეპარატიზმის, ნაციონალ-ექსტრემიზმისა და აშკარა ტერორიზმის ზეგავლენის დაძლევის გზაზე დემოკრატიული საქართველო და დემოკრატიული რუსეთი ერთად შეძლებენ ამის მიღწევას, რომ ვითარება შეცვალონ უკეთესობისაკენ, უზრუნველყონ თავიანთი სახელმწიფოებისა და ხალხების ერთობა და დარაზმულობა.

ამჟამად ჩვენ საქართველოს ხელმძღვანელობასთან ერთად აქტიურ მუშაობას ვეწევით ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოწყობის ძირითადი პრინციპების შემუშავებისთვის და მივაღწევთ იმას, რომ ხალხს საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად წარუდგინონ ისეთი წინადადებები, რომლებიც დააკმაყოფილებს მთელ მსოფლიო გაერთიანებაში მიღებულ დემოკრატიისა და ჰუმანიზმის უმაღლეს სტანდარტებს.

ჩვენო პატივცემულო თანამემამულეებო!

მოგმართავთ რა ამ ტრაგიკულ დღეებში, უწინარეს ყოვლისა ქედს ვიხრით აგრესიისა და ბარბაროსობის ასობით და ათასობით მსხვერპლის ხსოვნის წინაშე. ეს აგრესია და ბარბაროსობა სხვადასხვაგვარად, მაგრამ მაინც, შეეხო რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელს. აღგითქვამთ ყველას, რომ ამჟამად საქართველოს დედაქალაქში — ქალაქ თბილისში დროებით მოქმედი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ძირითად მიზნად და ამოცანად ისახავს იმას, რომ აფხაზეთის ყველა მცხოვრები დაუბრუნდეს მამაპაპეულ კერებს, წინაპრებისა და ამ ძმათამკვლელ ომში დაღუპულთა საფლავებს. კარგად ვიცით, რომ ისინი, ვინც დღეს აფხაზეთში დარჩა, იმყოფებიან შიმშილის, სიცივის, ტერორის უმძიმეს პირობებში. მაგრამ ჩვენ ერთი წუთითაც არ გვეპარება ეჭვი, რომ ეფექტურად გადავიტანთ ყველა გასაჭირსა და სიდუხჭირეს, ქედს არ მოვიხრით ბოროტებისა და სიძულვილის წინაშე.

დღეს ყველა ჩვენგანი ოპტიმისტურად უნდა განაწყოს რწმენამ, რომ მალე დადგება ჟამი, როცა რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნების დახმარებით, მსოფლიო საზოგადოებრიობის, ჩვენი ქვეყნის სამთავრობო და ჰუმანიტარულ ორგანიზაციათა მხარდაჭერითა და ხელშეწყობით, დამყარდება მშვიდობა და სტაბილური ვითარება, ბოლო მოეღება ომს, წინააღმდეგობასა და დაპირისპირებას; ადამიანები დაუბრუნდებიან მშობლიურ კერებს ფსოუდან ენგურამდე; მოშუშდება მძიმე იარები; აღდგება დანგრეული სახალხო მეურნეობა, ისტორიისა და კულტურის ფასდაუდებელი ძეგლები, რომლებითაც ასე მდიდარია ჩვენი რესპუბლიკა, კვლავ აქტიური შრომითი და ბედნიერი ცხოვრება დაისადგურებს ჩვენი მშობლიური აფხაზეთის მიწაზე. დაე, მთელს ჩვენს მიწაზე სიცოცხლემ გაიმარჯვოს სიკვდილზე, ურთიერთგაგებამ — დაპირისპირებაზე, მეგობრობამ — მტრობაზე!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

ქ. თბილისი.

1998 წ. 5 ნოემბერი.

პოლემიკა

საკითხავი, აი, ეს არის

ანუ არის თუ არა ქვეყნის ავტორიტარული გზით წაყვანის საშიშროება?

საქართველოსთვის ამ მძიმე ჟამს ბატონმა შოთა ნადირაშვილმა თავისი ინტერვიუთი; რომელიც 20 ოქტომბერს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა, ძალზე ჩაგვაფიქრა იმაზე, თუ საით მივყავართ დღევანდელ ხელისუფლებას. ერთი შეხედვით თითქოს საგანგაშო არაფერია, ბატონ შოთას ხელისუფლების მიმართ „დიდი სიმპათიაც" ჰქონია, მაგრამ გარკვეული შეკითხვებიც გასჩენია. შეკითხვები კი სინამდვილეში მძიმე ბრალდებებია. დავაკვირდეთ მის სიტყვებს: „იმ პერიოდში, როცა ხელისუფლება თავის პოზიციის მიხედვით მართავდა ქვეყანას, დავკარგეთ სამაჩაბლო, ღირსეულად ვერ გამოვედით აფხაზეთში ბრძოლიდან, გაძლიერდა კონფრონტაცია საზოგადოებაში, დაიწყო სამოქალაქო ომი, ეკონომიკურმა გაჭირვებამ საშინელ დონეს მიაღწია. ჩვენი ნებით შევედით ესენგეში. ამ ნაბიჯის გადადგმისას არ დავეკითხეთ ხალხს და პარლამენტს".

და აი, ამ ბრალდებების ჩამოთვლის შემდეგ ბატონი შოთა სვამს ერთადერთ შეკითხვას: „კი მაგრამ, ჩვენი პოზიციით მართვის პროცესში ხომ არ შემოგვეპარა ქვეყნის ავტორიტარული გზით წაყვანის საშიშროება? ეს კითხვები და ვითარებანი, — დასძენს იგი, — ანალიზს მოითხოვენ და მათზე პასუხის გაცემა აუცილებელია".

ვითარებანი, რომელთაც ბატონი შოთა ახასიათებს, მართლაც, მოითხოვს ანალიზს. ოღონდ იქნებ უმჯობესი ყოფილიყო ჯერ გაგვეანალიზებინა და მერე გაგვეკეთებინა დასკვნები. „სამაჩაბლო დავკარგეთ". — ბრძანებს შ. ნადირაშვილი. ახლა არ მინდა ვიკამათო თვითონ ტერმინის მართებულობა-უმართებულობაზე და ამ კონფლიქტის შესახებ გავრცელებულ თვალსაზრისზე, ამჯერად ბატონ შოთას მხოლოდ ვურჩევდი გასცნობოდა დასავლეთში გადახვეწილი ჩვენი თანამემამულის, ბატონ ჯანრი კაშიას წერილს „ნაციონალურ-ტოტალიტარული პერესტროიკა საქართველოში (1991 წ. მაისი-ნოემბერი)", რომელიც ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალ „ივერიაში" (1992, № 1) გამოქვეყნდა.

ფსიქოლოგებს ფსიქოპათოლოგიის საკითხებიც აინტერესებთ ხოლმე და ბატონი შოთა ალბათ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ სხვა „ფრენიების" (მაგალითად, შიზოფრენიის) გვერდით ბატონი ჯანრი ასახელებს „ისტორიოფრენიას", რაც იმის ცდაში გამოიხატება, რომ ყველაფერი ისტორიით დაასაბუთონ.

ამ სტატიის გაცნობისას დარწმუნდებით, რომ ბატონ ჯანრის (დავუმატებდი, არა მარტო მას, არამედ ზოგიერთ ჩვენს აქაურ თანამემამულესაც, მაგალითად პარლამენტარ ლორიკ მარშანიას) სხვაგვარად აქვს წარმოდგენილი ამ კონფლიქტის გადაჭრის გზაც, მაგრამ ამით, დარწმუნებული ვარ, მის და მისი თანამოაზრეების პატრიოტიზმს არაფერი აკლდება. თუმცა ახლა ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ მოარულ ფრაზას: „სამაჩაბლო დავკარგეთ", ჩვეულებრივ უმატებენ ხოლმე: იმის დროს კი სწორი ეროვნული პოლიტიკა გვქონდაო. ჩანს, ბატონი შოთაც ამ აზრს იზიარებს, რადგან „სამაჩაბლოს" დაკარგვას სწორედ დღევანდელ ხელისუფლებას აბრალებს.

დავუშვათ, რომ ამ ბრალდებას აქვს რაღაც საფუძველი. მაგრამ ამას არ უნდა გასცდეს ჩვენი ანალიზი? „იმის დროს" დათესილმა უნდობლობამ არავითარი როლი არ შეასრულა? თავის დროზე სახელმწიფო საბჭომ უმთავრესი პასუხისმგებლობა ეთნოკონფლიქტების გამწვავებაში წინა ხელისუფლებას დააკისრა და არ ცდებოდა ამაში!

იგივე შეიძლება ითქვას ბატონ შოთას მიერ მინიშნებულ სხვა ვითარებათა შესახებ. ვთქვათ, აფხაზეთთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში აღარ გავიმეორებ წინა ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებს, მაგრამ შინააშლილობა, ღალატი და ზურგში მახვილიც დღევანდელ ხელისუფლებას ბრალდება? იქნებ იმანაც შეასრულა თავისი როლი, რომ გადამწყვეტ მომენტში ძალები, რომლებიც მხარში უნდა ამოსდგომოდნენ მას, არსებითად განუდგნენ, რის გამოც სახელმწიფო მეთაურმა გადადგომა მოითხოვა? იქნებ ის, რომ არა, მავან ძალებს ვერ გაებედათ აშკარა ალიანსი და ღალატი? სამოქალაქო ომიც ხელისუფლების ბრალი ყოფილა. ალბათ მას თავიდან ავიცილებდით, ბატონ შოთასთვის და ზოგიერთი პარლამენტარისთვის რომ დაგვეჯერებინა და მხოლოდ მოლაპარაკებისა და დათმობების გზას დავდგომოდით. ოღონდ რატომღაც არ სურთ დააზუსტონ, აქვს თუ არა დათმობებსაც ზღვარი და შეიძლებოდა თუ არა იმედი გვქონოდა, რომ ვინც გუშინ ზურგში მახვილი ჩაგვცა, დღეს მას სინდისის ქენჯნა დააწყებოდა.

არაფერს ვამბობ აგრეთვე ეკონომიკურ გაჭირვებაზე. ალბათ ხელისუფლებაც პასუხისმგებელია მასზე, მაგრამ ნუთუ ანგარიშგასაწევი არ არის უამრავი დივერსია, ძარცვა, ნგრევა, ნუთუ ყველაფერი ეს „ხელისუფლების პოზიციის" ბრალია მხოლოდ?

ერთადერთი პირდაპირი საფუძველი, რაც ბატონ შოთას „შეკითხვებში" ჩანს ავტორიტარული გზით ქვეყნის წაყვანის საშიშროების რეალურობის გასამართლებლად, ის არის, რომ თანამეგობრობაში შესვლის გადაწყვეტილების მიღების დროს „არ დავეკითხეთ ხალხს და პარლამენტს". ამის თაობაზე შეიძლება ითქვას, რომ ჯერ-ერთი, პარლამენტს და ხალხს, ალბათ, ექნებათ საშუალება თავიანთი დამოკიდებულება რატიფიკაციით და რეფერენდუმით გამოხატონ (თუ პარლამენტმა ეს საჭიროდ მიიჩნია). მეორეც, ზოგჯერ პოლიტიკაში სწრაფი გადაწყვეტილების (სწორის თუ არასწორის, ეს სხვა საქმეა) მიღების მომენტი დგება. ამგვარ გადაწყვეტილებებს სასამართლო პროცედურის ანალოგიით არ იღებენ.

არსებობს თუ არა ქვეყნის ავტორიტარული გზით წაყვანის საშიშროება, მნიშვნელოვანია და მასზე ყოველი ჩვენგანი უნდა ფიქრობდეს. ისე კი მგონია, რომ ეს საშიშროება არც ისე რეალურია. ამას ისიც მაფიქრებინებს, რომ ბატონმა შოთამ ეს კითხვა პირდაპირ დაუსვა ხელისუფლებას, მაშინ, როცა წინა ხელისუფლების დროს, როცა ავტორიტარული გზის საშიშროება კი არა, აშკარა სინამდვილე იყო, მას, ეს კითხვა რატომღაც არ დაუსვამს. ბატონი ჯაბა იოსელიანისა არ იყოს — „ახლა"? ახლა მოუნდა ბატონ შოთას დემოკრატიის დაცვა? უმთავრესი კი ის არის, რომ უფრო იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, თუ საით მივდივართ, არამედ იმაზე, თუ რატომ დაგვემართა ის, რაც დაგვემართა, რა არის შინააშლილობის მიზეზები. აი, ამ მიზეზებს რომ ჩავწვდებით, ხსნის გზაც გამოჩნდება.

ოთარ ჯიოითი.

ენამ გულისა უნდა თქვას

ბაბუ

ომი დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში უკვე იქცა საქართველოს ისტორიის განუყრელ ნაწილად. მომავალი თაობების წინაშე დრო ბევრ პრობლემას წამოჭრის, ბევრი თემა გახდება ყურადღების, შესწავლის საგანი. რამდენიმე ამათგანი:

თავგანწირვა და სიმამაცე ქართველი კაცისა.

სამშობლო ან სიკვდილი!

თუ დამოუკიდებლობა, თავისუფლება გინდა, ომისთვის ყოველდღე უნდა იყო მზად — განსაკუთრებით ისეთ გარემოცვაში, როგორშიც საქართველო გააჩინა ღმერთმა.

როგორ იბრძოდა მავანი და მავანი აფხაზეთში: სამშობლოს იცავდა თუ ომის ცეცხლზე ხელს ითბობდა?

ომი მხოლოდ იმიტომ კი არ არის საშინელება, რომ ადამიანებს სიცოცხლეს უსპობს, ქალაქებს ანგრევს, იმიტომაც, რომ ზოგიერთის სულში წინა პლანზე წამოსწევს, ანვითარებს მხეცის ინსტინქტებს.

ამ ომში განსაკუთრებულ მისიას ასრულებს სახელმწიფოს მეთაურის ფაქტორი, რომელიც მეოცე საუკუნის ადამიანის ცნობიერებისათვის უჩვეულო თემებს წამოჭრის:

საქართველოს ხელისუფალი ქვეყნის ჯარისკაცი ხდება.

მეოცე საუკუნის დასასრულს ქვეყნის სიუზერენი ფრონტის ხაზზეა.

— უმაღლესი ხელისუფალი დაეძებს ტყვიას?

— მე ჩემს სამშობლოს ვიცავ.

შესაძლოა, ყველა ეს თემა იყოს ქვეთემები ერთი დიდი და ტრაგიკული ეპოპეისა, საქართველოს ყოფას რომ ასახავს.

და მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში სამყაროში ბევრი, ძალიან ბევრი რამ შეიცვალა, საქართველოს ირგვლივ დრო თითქოს გაიყინა. ჩვენ დღესაც ისეთივე მტრულ გარემოცვაში აღმოვჩნდით, როგორც 200-250 წლის წინათ ვიყავით. ამიტომ საქართველოს სიუზერენი დღესაც ისევეა ბრძოლის ველზე, როგორც 200-250 წლის წინათ იყო, დღესაც ისევე იცავს სამშობლოს, როგორც მაშინ. დიახ, მის მოქმედებაში კვლავ იკითხება:

მე ვიცავ სამშობლოს.

ამ უკანასკნელი თემის დიდი მნიშვნელობა რომ ვირწმუნოთ, უნდა გავიხსენოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა (არა საქართველოსი, რასაკვირველია!) როგორ მონათლეს ჩვენზე ერთობ ეშმაკურად თავსმოხვეული ომი: „საქართველო-აფხაზეთის ომის ამბები", „საქართველოს ომი აფხაზეთში", „აფხაზეთ-საქართველოს საბრძოლო მოქმედების ხაზიდან გვატყობინებენ" და ა. შ. ამ პაწია, თითქოსდა, უცოდველი უზუსტობით შეიქმნა სტერეოტიპი: აფხაზეთი საქართველოს იურისდიქციაში მოქცეული მეზობელი ქვეყანა ყოფილა. რახან მავანის შემეცნებაში მტკიცედ „ჩაჯდა" ასეთი ინფორმაცია, რატომ უნდა გაგვიკვირდეს, რომ იგი ფიქრობდეს: თუ აფხაზეთი აფხაზეთია, საქართველო კი საქართველო, რომელსაც თავის იურისდიქციაში მოუქცევია ეს ქვეყანა, დღეს რატომ, რისთვის იბრძვიან ქართველები აფხაზეთში? ალბათ, არც უნდა დავქრახოთ კაცი, რომელსაც ასეთი შეკითხვა გაუჩნდება ჩვენი პლანეტის ამა თუ იმ კუთხეში. ეს იმიტომ რომ იმ კაცმა არ იცის, ან საიდან, რატომ უნდა იცოდეს, რომ აფხაზეთიც ისეთივე ნაწილია საქართველოსი, როგორც იმერეთი, თუშეთი თუ სამეგრელო და არა ისეთი, როგორც ჩეჩნეთი ან თათარისტანი რუსეთისათვის. იმ ფრანგ- [illegible]

[illegible] იცოდნენ. არ იცოდნენ და ჩვენც ვერაფერი დიდი დახმარება ვერ გავუწიეთ. ვერ გავაგებინეთ, რომ ქართველი კაცი აფხაზეთში თავის მამულს იცავს, იცავს საუკუნეების განმავლობაში ჩუმი, უხმაურო აგრესიით იავარყოფილ ქართულ სახელმწიფოებრიობას.

ეს ვერ გავაგებინეთ იმ კანადელს თუ ავსტრალიელს. ის კი იცოდნენ, რომ საქართველო აფხაზეთში იბრძოდა. იმასაც ხომ ჩასძახოდნენ (პირდაპირ თუ ნართაულად) ქართველები აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ეწირებიან, აფხაზები კი სამშობლოსათვის იღუპებიანო. ამით იმას ამბობდნენ, აფხაზეთი საქართველოსათვის გვიან შეძენილი, მოპოვებული, ანექსირებული ტერიტორიაა და დღეს, იმპერიათა ნგრევის ჟამს ქართველები თავიანთი პაწია იმპერიის ნგრევას ვერ ეგუებიანო. ამიტომაც არ მომწონს ფრაზა „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლა". ქართველი ხალხი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის კი არ იბრძვის, არამედ ისტორიული საქართველოს მთლიანობისათვის. ტერიტორიისათვის კი აფსუები და ჩრდილოელი კავკასიელები იბრძვიან ისევე, როგორც 200 წლის წინათ იბრძოდნენ. დღეს მათ თავიანთი აგრესია გაალამაზეს, „გააკეთილშობილეს". მათი აზრით, ლეგიტიმური გახადეს, თორემ ახლაც იმასვე აკეთებენ, რასაც 200-250 წლის წინათ სჩადიოდნენ — განა მათმა დაუოკებელმა აგრესიამ არ იძულებულჰყო ერეკლე მეფე გადაედგა ის მძიმე ნაბიჯი? მათ დღესაც ის სწადიათ, რაც 200 წლის წინათ ეწადათ — ქართული მიწა, ქართული ტერიტორია.

დღეს მათ თავიანთი აგრესია საქართველოში იმით გაალეგიტიმურეს, რომ სხვა სახელმწიფოს— საქართველოს ქალაქი სოხუმი თავიანთი არარსებული სახელმწიფოს დედაქალაქად გამოაცხადეს. მაშინ, 200-250 წლის წინათ უფრო პრიმიტიულნი იყვნენ, დღეს თავიანთი აგრესიულობა „შენიღბეს", მაგრამ სირაქლემაზე მეტი ვერ მოახერხეს.

რაღა შორეულზე, უცხოელზე ვლაპარაკობთ, ჩვენმა მეზობლებმა — რუსული კულტურის მოღვაწეთაც ის ირწმუნეს, თითქოს ქართველნი მიწას ართმევდნენ აფხაზებს. აფხაზეთში სტუმრობისა თუ დასვენებისას მასპინძლებს მათს წინაშე ხომ მუდამ ქართული ექსპანსიის მსხვერპლად, ქართველთაგან დაჩაგრულად, თავში კეტჩარტყმულად მოჰქონდათ თავი. ადამიანის ბუნება კი ასეთია: დაჩაგრულს უფრო თანაუგრძნობს. მით უფრო, თუ ეს თანაგრძნობა არაფერს განსაკუთრებულს არ ავალებს. ეგ კია: ფაცხაში ლობიოს, ღომის და „ლიხნის" მირთმევისას დაჩაგრულის მოთქმაზე ამას და ამას გვიშვრებიანო ქართველები, აღშფოთების და გაოცების ნიშნად თავს გააქნევს, მასპინძელს ორიოდე ტკბილ სიტყვას ეტყვის, მოგვიანებით კი მოსკოვში ან სანქტ-პეტერბურგში ყოფილი მასპინძელი გაოფლილი, აქლოშინებული რომ მოგვარდება („ხომ გაიგეთ, რა გენოციდს გვიწყობენ ქართველები") კოლექტიურ წერილზე ისე მოგაწერინებს ხელს, შესაძლოა, შიგ არც ჩახედო.

რამდენი ასეთი წერილი წავიკითხეთ ჩვენ ამ ბოლო წლებში რუსულ პრესაში გამოჩენილი რუსი მოღვაწენი რომ აწერდნენ ხელს და ყოველი წერილის წაკითხვის შემდეგ იმ მოღვაწეებს არცთუ უსამართლოდ ვდებდით ბრალს. საკუთარი უმოქმედებაც კი გვავიწყდებოდა, მაშინ, როდესაც აფხაზური პროპაგანდის მანქანა გამალებული მუშაობდა, აფხაზნი რუსთ ელოლიავებოდნენ— დათვს ბაბაის ეძახდნენ, ჩვენ კი სიმართლეს ისე შევძახებდით, თითქოს დათვს რომ დათვს დაუძახებ, ამით სირინოზივით მოიქცევა.

ამ ბოლო წლებში რამდენმა ხელმოცარულმა კაცმა გაიგო ფეხქვეშ ქართული და რუსული კულტურის მოღვაწეთა ჭეშმარიტი, საქართველოსათვის მრავალი სიკეთის მომტანი მეგობრობა — ეგრე აძლევდათ ხელს და ფეხქვეშ გაიგეს, იმათ კი, ვისაც ამ მეგობრობით თავი მოჰქონდა, არც ერ-

კუპონის ფასი კვლავ ეცემა



ქართული კუპონის დაცემის შედარებით დამუხრუჭების შემდეგ, რაც ერთი კვირის წინათ თბილისის ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟის წინა ვაჭრობაზე დაფიქსირდა, მისი კურსი კვლავ ეცემა. 10 ნოემბერს ამ ბირჟაზე გამართულ ნაღდი ანგარიშსწორებით მორიგ ვაჭრობაზე ამერიკულ დოლარებსა და რუსულ მანეთებზე მოთხოვნამ კვლავ გადააჭარბა მიწოდებას. ერთი ამერიკული დოლარის საშუალო კურსი კვირის განმავლობაში 6.176 კუპონით გაიზარდა და 31.814 კუპონი შეადგინა, ხოლო 100 რუსული მანეთის კურსი 550 კუპონით გაიზარდა და 2.705 კუპონი შეადგინა.

ვაჭრობის შედეგებით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ამა წლის 11 ნოემბრიდან დააწესა კუპონის მიმართ უცხოურ ვალუტათა ახალი კურსები, კერძოდ, ერთი გერმანული მარკის კურსმა შეადგინა 18.886.41 კუპონი, ინგლისური გირვანქა სტერლინგისამ 47.116.67, შვეიცარიული ფრანკისამ — 21.433.7, ათი იაპონური იენისამ — 2.948.55, ეკიუსი — 36.166.16 კუპონი. შესაბამისად გაიზარდა სსრ კავშირის ყოფილი რესპუბლიკების ვალუტების კურსიც. მაგალითად, ერთი ლიტვური ლიტის კურსმა შეადგინა 8.026.28 კუპონი, ლატვიური ლატისამ — 51.934,11, ესტონური კრონისამ — 2.358,49, ხოლო 1000 უკრაინული კარბოვანეცისამ — 893 კუპონი.

ჭამა ქონებაზე ჰკიდია: რა მოგვცა ამ შემოდგომამ?

დღეს გორის რაიონის სარწყავ მიწების 18 ათასი ჰექტარიდან 15 ათასზე მეტი კერძო მესაკუთრეთა ხელშია. ამ ფართობებზე სულ ცოტა ხნის წინ ათასობით ტონა ხილი, შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული და სხვა კულტურები მოჰყავდათ. ყველაფერ ამაზე ახლა უკვე წარსულში ვლაპარაკობთ, რადგან მიწების ხელაღებით პრივატიზაციამ ძირი გამოუთხარა — სათქმელი უნდა ითქვას! — როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის ეკონომიკას.

წყალი, საწვავი, მოსავალი...

პრივატიზაცია აუცილებელია, მაგრამ ისიც აუცილებელია, რომ ამ პროცესს მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამების საფუძველზე პროფესიონალი, საქმის მცოდნე ადამიანები წარმართავდნენ.

ქარელის რაიონში ეს რომ ასე არ მოხდა, ამის დასადასტურებლად შორს წასვლა არ არის საჭირო. საავტომობილო გზის გაყოლებაზე უპატრონოდ მიგდებული ხილის გამხმარი ბაღებიც და ჯაგნარად ქცეული მინდვრებიც კმარა.

სადაც პრივატიზაციის თავბრუდამხვევი ტემპის ცდუნებას გაუძლეს და პროცესი კონტროლს დაუქვემდებარეს, სადაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა არ დაიტაცეს და არ გაანიავეს, იქ დღეს მყარი ეკონომიკური მდგომარეობაა. ასე მოიქცნენ, მაგალითად, ხელთუბნის კოლმეურნეობაში. მისი ყოფილი თავმჯდომარე თემურ ხაჩიური დღეს ქ. გორისა და გორის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა.

— ჩვენმა წინამორბედებმა ისეთი მემკვიდრეობა დაგვიტოვეს, ბევრ მეურნეობას არც დაესიზმრება, — გვეუბნება აგროფირმა „ხელთუბნის" (ასე ჰქვია დღეს კოლმეურნეობას) თავმჯდომარე ვალერი ტერმელაშვილი. — წლეულს 130 ტონა ხახვი მოვიყვანეთ, სულ რაიონში კი 278 ტონა ხახვია მიღებული, 328 ტონა პამიდვრიდან, რომელიც რაიონის სახელმწიფო მეურნეობებში მიიღეს, მარტო ჩვენს წილად 87 ტონა მოდის, ახლა მარცვლეული, შაქრის ჭარხალი...

...თუმცა ქინქლავდა, შაქრის ჭარხლის ფართობებზე მაინც ფუსფუსებდნენ ხელთუბნელები. 25 ჰექტარზე დაითესა ეს კულტურა წლეულს. ამ დღეებში კი ამ სტრატეგიული ნედლეულის ამოღება დაიწყეს. ცალკეულ ნაკვეთებზე 400-470 ცენტნერ შაქრის ჭარხალს იღებენ, აგარის შაქრის კომბინატში დღეისათვის 490 ტონა ჭარხალია გადაზიდული.

მატერიალური წახალისების ხელსაყრელ პირობებში აგროფირმის წევრებს მოსავლის უმოკლეს ვადებში აღებისათვის განაწყობენ. ტონა შაქრის ჭარხალზე თითოეულმა მოიჯარე ოჯახმა 20 კილოგრამი შაქარი უნდა მიიღოს.

შაქრის ჭარხლის ამოღება მეზობელი „თორტიზის" აგროფირმამაც (თავმჯდომარე — თემურ ბერძნიშვილი) დაიწყო. მისაბაძია შინდისის სახელმწიფო მეურნეობის (დირექტორი — შაქრო მაზმიაშვილი) მეჭარხლეთა საქმიანობა. აქ სავარაუდო 1500 ტონა ნედლეულის დამზადებას ვარაუდობენ. დღეისათვის 1100 ტონა ჭარხალია ამოღებული.

გორელებისთვის წლევანდელი წელი განსაკუთრებით მძიმე იყო. სასწაულად გაჭირდა საწვავი და არანაკლებ — სარწყავი წყალი. ხანგრძლივმა გვალვებმა ლიახვის კალაპოტში და წყალშემკრებ აუზებში წყლის შემცირება გამოიწვია, სალთვარის არხი, რომლის სათავეც ცხინვალშია, გასაგები მიზეზების გამო, თითქმის უმოქმედოდ იყო. ასე რომ, მეურნეობათა თავკაცები ხან ტირიფონას არხს სდარაჯობდნენ, ხანაც გორის ნავთობბაზას. ბუნებას რომ ცოტა ხელი შეეწყო და ნავთობპროდუქტების კონცერნიდანაც დახმარებოდნენ, ნაწრეთის, მარანის, მეჯვრისხევის მეურნეობებიც იტყოდნენ თავის სათქმელს; არადა, საეჭვოა, 7 000 ტონას ასცდეს შაქრის ჭარხლის წლევანდელი მოსავალი. სავარაუდო 12 000 ტონა კი თითქოს პრობლემა არ იყო.

ფართობები თავისუფლდება და ხვნის სამუშაოებიც ჩაღდება. დღეისათვის ცოტა საწვავიც გამოჩნდა. შავშვების, ზერტის (მეურნეობათა დირექტორები — ავთანდილ წკრიალაშვილი, პაატა ტურაშვილი) და სხვა მეურნეობათა მინდვრებში, რომ იტყვიან, გახურდა საშემოდგომო ხვნა, დღეისათვის ეს სამუშაოები 1300 ჰექტარზეა ჩატარებული.

იხვნება, ითესება, ირწყვება ფართობები.

ღარიბი, სევდიანი შემოდგომაა ქარელში.

წლეულს გორის რაიონში ხილი ისე ცოტა მოვიდა, გვერიდება კიდეც ციფრებში მისი გამოხატვა. ბოსტნეულიც ასე, შაქრის ჭარხალიც ასე...

თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამდენსაც არ ელოდნენ. ქვეყანა სამოქალაქო ომის ხანძარშია გახვეული და ვინ აღმა ხნავს და ვინ დაღმა ფარცხავს, ვერას გაიგებ.

აი, იმ თესლს კი, დღეს რომ მიწას აბარებენ, დალაგებულ და დამშვიდებულ ქვეყანაში მოიმკიან.

ასე სჯერათ გორელ მხვნელ-მთესველებს, და უეჭველად ასეც იქნება.

შალვა კეჩხუაშვილი,
გორის რაიონის სოფლის მეურნეობის აგროსამრეწველო სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე;

გურამ გაშაკიძე,
„სრ" საკუთარი კორესპონდენტი.

ზამთრის საძოვრებზე ცხვრის გადარეკვა ყოველთვის ჭირდა. ამ ეროვნულ საქმეს მრავალი სიძნელე ახლავს. ვინ მოთვლის, გამგზავრებამდე რამდენია გასაკეთებელი და შემდგომშიც, როცა ფარები დაიძვრებიან. მარტო გაუთავებელი გზა ქანცავს ცხვარ-მეცხვარეს. ხოლო მრავალი ფათერაკის შემდგომ, მწყემსები უიზლარში რომ ჩააღწევენ, მაშინღა ამოისუნთქებენ ხოლმე შვებით.

ამ დიდი საქმის ორგანიზაციას შესდგომოდა საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე აპოლონ კოზმანაშვილი და ამიტომ მასთან შესვლა მეუხერხულა კიდეც. იგი საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსს რემი ვაშაკიძეს სატვირთო ვაგონების დაქირავების თაობაზე ესაუბრებოდა... ბოლო-ბოლო, საქმე ხელშეკრულების გაფორმებაზე მიდგა, — ახლავე ორ კაცს გამოვგზავნით, — ეუბნება რემი ვაშაკიძეს ბატონი აპოლონი, ყურმილი ფრთხილად დაკიდა და მდივანი გამოიძახა...

უნდა შევკითხოდი, მაგრამ მინისტრის მოადგილემ თვითონვე დაიჩივლა: — ძალიან გაძვირებულა ვაგონები. წლევანდელი საერთო ნაპარსი მატყლის ღირებულება თითქმის უიზლარში ცხვრის გადაყვანას დასჭირდება. მთელი რიგი მოსაზრებების გამო გადარეკვაზე უარი ვთქვით. ისევ რკინიგზით ვარჩიეთ...

— უიზლარის გზა წლეულს მაინც გაცილებით ხიფათიანი იქნება, ქართველ მწყემსებს კავკასიონის გადაღმა ყაჩაღები არ დაინდობენ. შინ გვიცვივიან და სამშობლოს გვიცილებიან, იქ რაღას გვიზავენ, მით უმეტეს, საკუთარ სახლში უფრო დიდი გული ექნებათ, — ვუთხარი მინისტრის მოადგილეს და აქვე ჩემი ვიზიტის მიზანიც ვაუწყე.

— კარგს ვერაფერს გეტყვით, — მეუბნება იგი, — რესპუბლიკის მეცხოველეობის დარგის მდგომარეობა აშკარად საგანგაშოა. მის თითქმის ყველა სახეობას ლიკვიდაცია ემუქრება....

— რა მოხდა ამისთანა?

თქვენ კიდევ თქვენი თქვით

— წლეულს, პირველი ოქტომბრისათვის, საზოგადოებრივ ნახირში 147 ათასი სულილა იყო. ამათგან, ფური მხოლოდ 56 ათასია. შემოგვრჩა აგრეთვე 65 ათასი ღორი, 455 ათასი ცხვარი და 2,3 მილიონი ფრთა ქათამი. ეგ არის და ეგ მთელი ჩვენი ავლადიდება.

— უფრო ნათელი წარმოდგენა რომ გვქონდეს, ეს მონაცემები იქნებ რომელიმე გასული წლისას შევუდაროთ?

— მაგალითად: ახლანდელი ნახირის რაოდენობა 1990 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მხოლოდ 33 პროცენტია, ფურის — 41, ღორის — 20, ცხვრის — 52, ფრინველის კი — 22 პროცენტი. რაკი სულადობა ასე დაეცა, რაღა თქმა უნდა, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაც საგრძნობლად შემცირდებოდა. იგი იმდენად უმნიშვნელოა, რომ სათქმელად არც კი ღირს.

— სწორედ ეგ არის საინტერესო.

— მაშინ, აგერ, სიმონ უზუნაშვილი მოგვახსენებს. იგი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების, გადამუშავებისა და საკვებწარმოების სამმართველოს უფროსია. გისმენთ, ბატონო სიმონ!

— წლეულს, პირველი ოქტომბრისათვის, საზოგადოებრივ მეურნეობებში ხორცის წარმოებამ მხოლოდ 12 ათასი ტონა შეადგინა. რძისამ — 36 ათასი ტონა. ერთი ფურის წველადობამ საშუალოდ 514 კილოგრამს მიაღწია, ხოლო ერთი მოქცეულის კვერცხმდებლობამ 56 ცალს, საერთოდ, კვერცხმდებლობამ კი მხოლოდ 33 მილიონს აღწევს, ანუ 1990 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხორცის წარმოება 8 პროცენტია, რძისა — 13 და კვერცხისა 6 პროცენტი.

— რა იშველება დარგს?

— პასუხი ერთია, — მეუბნება მინისტრის მოადგილე, — განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საკვებწარმოებას. საკვები ბაზის უქონლად მეცხოველეობის განვითარება შეუძლებელია, ფიქრიც კი. — თავად არც იყო ძმარი და ზედ დაასხეს წყალიო, — სწორედ ასე დაგვემართა. მიწის არასწორი პრივატიზაციის გამო უფრო შემცირდა ის ფართობები, სადაც საკვები კულტურები ითესებოდა. წლეულს, მხოლოდ 54 ათასი ტონა სილოსი და 217 ათასი ტონა თივა საკვები დამზადდა. შარშანდელ შესაბამის პერიოდს 25 და 124 ათასი ტონით ჩამოვრჩით. მთელი უბედურება კიდევ ის არის, რომ წლეულს, ფერმები არ შეგვიკეთებია, რადგან არ გაგვაჩნია სათანადო სამშენებლო მასალები. ბევრი მათგანი დაინგრიეს, დაიტაცეს, ზოგიც თავად ინგრევა. აი, მცირე ნაწილი იმისა, რაც ამ შემოდგომამ მოგვიტანა.

— საკმაოდ ხანგრძლივი კამათის შემდეგ, მინისტრის მოადგილე, სამმართველოს უფროსი და ჟურნალისტი იმ დასკვნამდე მივედით, რომ მეცხოველეობის შემდგომი **აღმავლობისათვის სოფლად ყოველმა შრომისუნარიანმა ოჯახმა უნდა იყოლიოს პირუტყვი და ფრინველი. აუცილებელია თავის მხრივ მთავრობამ ამისათვის გამოყოს მიზნობრივი კრედიტები და ამასთან, გლეხს, პირუტყვის ყიდვაშიც დაეხმაროს.** საქმეს ძალიან წაადგება, თუ ამისათვის (სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ბაზაზე) შეიქმნება შესაბამისი სამსახური. ეს არის ერთადერთი გზა იმისა, რომ მოკლე დროში რესპუბლიკის მოსახლეობა უზრუნველვყოთ ღორის, ქათმის ხორცით და კვერცხით. **ოღონდ ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ მოსახლეობას შინ მივუტანთ კომბინირებულ და პირუტყვის სხვა საკვებს.**

კარგი იქნება, თუ ამ ეროვნულ საქმეში ქართველი მეწარმეები ჩაებმებიან. ვფიქრობთ, მხოლოდ ეს არის გზა ხსნისა და შიმშილისაგან თავის დაღწევისა.

აი, ერთია ჩვენი აზრი, თქვენ კიდევ თქვენი თქვით.

როლანდ ბასილაშვილი.

უსიხარულო რთველი

ბოლო რამდენიმე კილოგრამი ყურძენი მოიკრიფა ქართლის მეურნეობებსა და მოსახლეობის საკარმიდამო ვენახებში. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მონაცემებით, ნოემბრის მეორე დეკადის დასაწყისისათვის ამ რეგიონიდან გადასამუშავებლად ჩაბარდა 5.420 ტონა ნედლეული, რაც გათვალისწინებული მოსავლის სულ მხოლოდ 16,5 პროცენტს შეადგენს.

სულ კი ყურძნის კრეფის სეზონის დაწყებიდან რესპუბლიკაში მოკრეფილია 71.270 ტონა, დასახული 365 ათასი ტონის ნაცვლად. ამ რაოდენობიდან რესპუბლიკის მთავარი მევენახის — კახეთის წილად მოდის 64.165 ტონა.

ამ დღეებში რთველი გრძელდება დასავლეთ საქართველოს რაიონებში. პროგნოზის თანახმად, აქ უკეთეს შემთხვევაში შეიძლება მოიკრიფოს მოსალოდნელი მოსავლის მეათედი.

ასეთი გარჯილობით უფრო გაგვიჭირდება

რა მდგომარეობაა რესპუბლიკაში ბოსტნეული კულტურების დამზადების მხრივ?! ამ საკითხზე ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მებოსტნეობის განყოფილების წამყვან სპეციალისტს რევაზ ქორიავას:

— წლეულს რესპუბლიკაში ბოსტნეული კულტურები ყველა კატეგორიის მეურნეობებში 360 ათას ჰექტარზე უნდა დათესილიყო, — თქვა მან, — მაგრამ ბოსტნეულის თესვის პროგრამა თითქმის ვერც ერთმა რაიონმა ვერ შეასრულა და, მათ შორის, ბოსტნეულის მწარმოებელმა მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისისა და სხვა რაიონებმა. საზოგადოებრივ სექტორში ფაქტობრივად სულ 4 ათასი ჰექტარზეა დათესილი. შარშანდელთან შედარებით კიდევ უფრო შემცირდა ხახვის, პამიდვრისა და კომბოსტოს ნათესები.

ჩამორჩენა ძირითადად საწვავ-საპოხი მასალების, შხამ-ქიმიკატებისა და მარაგნაწილების დეფიციტითაა გამოწვეული, რის გამოც რაიონებში დროულად ვერ დამუშავდა საბოსტნე ფართობები, გარდა ამისა, არასწორმა პრივატიზაციამ მეურნეობებს მოაკლო მიწების ძირითადი და მოსავლიანი ადგილები.

დათესილი ფართობიდან 63,0 ათასი ტონა ბოსტნეულის მიღებას ვარაუდობდნენ, მაგრამ ოპერატიული მონაცემებით მოსალოდნელის ნახევარიც კი ვერ შესრულდა.

როგორც გავარკვიეთ, სრულიად არადამაკმაყოფილებელია კარტოფილის დამზადებისა და ზამთრის მარაგში შენახვის საქმეც. საწვავის უქონლობის გამო მანქანები არ იგზავნება ახალქალაქის, ნინოწმინდისა და მთელ რიგ რაიონებში, არადა ახალებია 612 ჰექტარი ფართობი და თუ კონკრეტულ დახმარებას არ აღმოვუჩენთ აღნიშნულ და სხვა რაიონებს, ამ ზამთარში კიდევ უფრო გაგვიჭირდება.

ნაზი იმნაიშვილი.

პური და დივერსია

რესპუბლიკის ენერგოსისტემაში მომხდარი დივერსიისა თუ ავარიის გამო თბილისში ჩვეულებრივზე 100 ტონით ნაკლები პური გამოცხვა. ამან კიდევ უფრო დაძაბა ვითარება, რომელიც ისედაც ურთულესი იყო. პურის გაძვირებასთან დაკავშირებით მაღაზიებსა და ქარხნებზე მოსახლეობის მძლავრ შეტევებს ელიან.

— როგორმე ორშაბათამდე უნდა გავუძლოთ — ორშაბათიდან პური ძვირდება, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს თბილისის მერიის ვაჭრობისა და მომსახურების განყოფილების გამგემ ცეზარ მოსიძემ.

ცინცხალი ფაქტი. 11 ნოემბერს ეგზალტირებული მოსახლეობა ნაძალადევის რაიონში მდებარე პურის მე-13 საცხობში შეიჭრა, გაიტაცა გამომცხვარი პური, ცომი, ფქვილი, დალეწა ქვაბები, ღუმელები, პურის მაღაზია. ახლა ყველაფრის აღდგენას საკმაოდ დიდი თანხა და დრო დასჭირდება.

მეორე პრობლემა: პური ფულის კეთების საოცარი წყარო აღმოჩნდა. წარმოიდგინეთ, ერთი კილოგრამი გამომცხვარი პური სახელმწიფო მაღაზიაში (ჯერ კიდევ) 50 კუპონი ღირს, ბაზარზე — 1500-2000, ერთი კილოგრამი ფქვილი — 200-300 მანეთი, ამიტომაც იმ საცხობის მესვეურები, რომელთაც ფქვილის გაყიდვის შანსი აქვთ, 50 კუპონისთვის თონეში თავს არ ჩაიწვავენ და კარგა გვარიანადაც მდიდრდებიან.

— სადახლოში, მარნეულში, გარდაბანში კი გამომცხვარ პურსა და ფქვილს კარტოფილზე, ხახვზე, ბადრიჯანზე და პამიდორზე ცვლიან. ხშირად ისეთი ხალხიც მონახავს მათ შორის, სირცხვილით თვალი რომ ამირიდებია, — ამბობს ცეზარ მოსიძე. — თბილისის საცხობებიდან 120 ტონა პური მაინც გადის მეზობელ რაიონებში და რა თქმა უნდა იგი აკლდება ქალაქს.

თბილისში ამჟამად უნდა ცხოვრობდეს მილიონ სამასი ათასი კაცი, ფაქტობრივად ცხოვრობს მილიონ ექვსას ათასზე მეტი.

ცეზარ მოსიძის მონაცემებით დღეს დედაქალაქში 580-600 ტონა პური ცხვება (ხუთიოდე წლის წინ კი 380-400 ტონა ცხვებოდა ნამცხვრებიან-ფუნთუშებიანად) და როგორც მახსოვს, რიგებშიც არ იკლავდა ხალხი თავს).

დღეს პური მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის კვების ერთადერთი პროდუქტია და არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ იგი მის მოსაპოვებლად კანონის ჩარჩოებს გადავა.

ამიტომაც ბატონი ცეზარი ვითარების განსამუხტავად ქარხნების, საცხობებისა და სავაჭრო დაწესებულებების დაცვას მიიჩნევს უპირველეს საქმედ, შემდეგ — ნორმირებას, თუმცა მოკლე ხანში ქალაქში პური უკვე სიებით გაიცემა და, ალბათ, რიგებსაც მოევლება. ამისათვის ახლა აქ დიდი სამზადისი აქვთ.

შოთა მაჭარაშვილი.

დამნაშავენი კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ!

ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობათა კომიტეტის

განცხადება

„არავის მიმართ არ შეიძლება... თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობისა... ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან"

(ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 12).

სამწუხაროდ ამ უკანასკნელ ხანს საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში გავრცელდა მოქალაქეთა საცხოვრებელი ბინების თვითნებური დაკავების, მათში ძალით შეჭრის და იქიდან მფლობელთა გამოძევების ფაქტები.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტმა, ამ მოვლენის აღსაკვეთად, გადადგა ზოგიერთი პრაქტიკული ნაბიჯი, მაგრამ გარდა ცალკეული საკითხების გადაწყვეტისა, მთლიანობაში სასურველი შედეგი ვერ იქნა მიღწეული.

ამისი მთავარი მიზეზი ის არის, რომ შესაბამისი სამსახურები, ადგილობრივი სამართალდამცავი და აღმასრულებელი ორგანოები თავს არიდებენ თავიანთი პირდაპირი მოვალეობის შესრულებას, სამწუხაროდ, ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი თურმე ამართლებს კიდეც ასეთ მოქმედებას.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს მოვლენა საშიშია საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის და ძირს უთხრის მას. ადამიანების აზროვნებაში ამკვიდრებს ძალმომრეობას, რასაც მივყავართ ფაშიზმამდე. თუ სასწრაფოდ არ აღიკვეთება ძალადობის და ადამიანის ღირსების შემლახავი ეს ბარბაროსული აქტები, პროცესები უმართავი გახდება.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტი აცხადებს, რომ საქმე გვაქვს ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების ფაქტებთან, ამასთან დაბეჯითებით მოითხოვს შესაბამისი რესპუბლიკური უწყებების, მმართველობისა და სამართალდამცავი ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობისაგან ყოველი ფაქტის დეტალურად შესწავლას და დამნაშავეთა კანონის მთელი სიმკაცრით დასჯას, ხოლო სადავო საკითხების სასამართლოს წესით გადაწყვეტას.

თავის მხრივ კომიტეტი უფლებას იტოვებს ერთი თვის შემდეგ დაუბრუნდეს ზემოაღნიშნული დარღვევების შესწავლას და ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში მიაღწიოს დამნაშავეთა მკაცრ პასუხისმგებლობას.

ალექსანდრე კავსაძე,
კომიტეტის თავმჯდომარე.

„ღრმად ვართ დაინტერესებული..."

მკითხველს შეიძლება დაგვიანებულად მოეჩვენოს ეს წერილი, მაგრამ სამი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მაინც ღირს მისი გამოქვეყნება: ამ პუბლიკაციაში, გვგონია, კიდევ ერთხელ წარმოჩინდება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მსოფლიო ავტორიტეტი; დასტურდება ქართული მეცნიერებისა და პირადად მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მაღალი საერთაშორისო პრესტიჟი; დაბოლოს, ჩანს, რომ რუსეთში მართლაც არიან დემოკრატიული ძალები.

ამას წინათ რომში დეი ლინჩეის ეროვნული აკადემიის ეგიდით ჩატარდა მუდმივმოქმედი ამალდის მეექვსე კონფერენცია „მშვიდობა და საერთაშორისო უშიშროება" (ედოარდო ამალდი გამოჩენილი თანამედროვე იტალიელი ფიზიკოსია). მასში მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალბერტ თავხელიძე.

რომის ფორუმი გახსნა იტალიის სენატის პრეზიდენტმა ჯ. სპადოლინიმ, რომელიც შემდეგ შეხვდა და ესაუბრა აკადემიკოს ა. თავხელიძეს. მან სთხოვა ქართველ სტუმარს, მეგობრული მოკითხვა და კეთილი სურვილები გადაეცა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძისათვის. სენატის პრეზიდენტმა დიდი წუხილი გამოთქვა ჩვენს ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო.

საქართველოს წარგზავნილის ინიციატივით კონფერენციის ყველა მონაწილეს დაურიგდა ედუარდ შევარდნაძის ცნობილი სექტემბრის მიმართვის ტექსტი. საგულისხმოა, რომ ჩვენში შექმნილი ვითარების გარშემო რომის ფორუმზე სპეციალური სექციური სხდომა გაიმართა.

ქართველმა დელეგატმა რუსეთის დელეგაციასთან ერთად (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რემ პეტროვი, აკადემიკოსები ვიტალი გოლდანსკი და სერგეი კაპიცა) დააყენა საკითხი აღნიშნულ მდგომარეობასთან დაკავშირებით მიემართათ რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინისათვის. მათ მხარი დაუჭირეს.

კონფერენციის მიერ მიღებულ მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია:

„ღრმად ვართ დაინტერესებული საქართველოში მიმდინარე მოვლენებითა და ედუარდ შევარდნაძის ბედით. მისი სახელი უკავშირდება ცივი ომის დასასრულს, ყველაზე მნიშვნელოვან საფეხურებს. იმედი გვაქვს, რუსეთი გამოიყენებს ყველა ნებადართულ საშუალებას, რომ უზრუნველყოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება და სისხლისღვრის შეწყვეტა".

მიმართვის ხელმომწერთა შორის ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, გერმანიის, იტალიის, რუსეთის, საქართველოს და სხვა ქვეყნების 30-ზე მეტი ცნობილი სწავლულია. სამწუხაროდ, ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ამ მიმართვას არ დაუჭირეს მხარი.

თამაზ ებანოიძე.

თად გატეხილი პურის მადლი დაიცვეს, არც მეგობრობა და თავთავიანთი დუმილით, შეც არ მესროლონო ტალახი, იმ ხელმოცარულებს დაუკრეს კვერი. მერე კი ყველანი ერთად ვწრაზობდით — ახლა ხმას რატომ არ იღებენო, თითქოს ისე არ ვყვიროდით, როცა რაღაც-რაღაცეებს ვამადლიდით, რომ იმათ არ გაეგონათ. ქართველ კაცს ნაძალადევად ვერავინ ვერაფერს ვერ გააკეთებინებს, ჩვენ თუ ზოგიერთს ვმასპინძლობდით, უწინარესად, თავად გვსიამოვნებდა და იმიტომ ვიქცეოდით ასე. მერე კი ჩავთვალეთ ყველაფერი თავისთავად გაკეთდებაო. აფხაზნი, ოსნი კი უფრო ეშმაკურად მოიქცნენ — კბილებში ოფლმოდენილნი დარბოდნენ მოსკოვის რედაქციებსა თუ შემოქმედებით კავშირებში, ივან პეტროვიჩს იმას ჩასძახებდნენ, რაც ეწადათ და ისიც იმას ამოიძახებდა, რასაც ჩასძახებდნენ.

ჩვენ?

ჩვენ აქაც თავადურად ვიქცეოდით, გვეგონა: რაც ჩვენ ვიცოდით, მსოფლიოს თავისთავად უნდა სცოდნოდა და თუ არ იცოდა, ისედაც გაიგებდა, სიმართლე თავად აიდგამდა ფეხს. ამით სრულიად უარვყავით ერთი ჭეშმარიტება: დაცვა სწორედ რომ სიმართლეს სჭირდება, სიმართლე იმის ხელშია იარაღი, ვინც მას კარგად იყენებს. და... ისე გამოვიდა, რომ აფხაზური პროპაგანდის მანქანას არაფერი არ დავუპირისპირეთ.

მე დარწმუნებული ვარ: ჩვენ რომ მეტად გავრჯილიყავით, მაქსიმალურად რომ გამოგვეყენებინა ჩვენი შესაძლებლობანი, მეგობრებსაც არ დავეუბრებოდით, იმათი პროპაგანდა ესოდენ ქმედითი არ იქნებოდა — რუსეთის დემოკრატიულ პრესაზე მაინც მოვახდენდით ზეგავლენას. ასეთი დიფერენციაცია კი თავისთავად ალაპარაკებდა კონფლიქტის არსზე.

ამიტომ ხელთ შეგვრჩა ერთადერთი მძლავრი ფაქტორი — სახელმწიფოს მეთაურის ფენომენი.

და თუ ამ ხაზს გავყვებით, დავინახავთ:

საქართველოს გასაჭირი და სიმართლე ამ საშინელ ომში უფრო ცხადი და გასაგები იყო სახელმწიფოთა სამთავრობო დონეზე, ვიდრე საზოგადოებრიობაში, მთავრობების, სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფალთა რეაქცია უფრო ადეკვატური იყო, ვიდრე ფართო საზოგადოებრიობისა, ეს იმიტომ, რომ ხელისუფალთ სწორედ სახელისუფლებო არხებით ჰქონდათ ის ინფორმაცია, საზოგადოებრივი პრესის არხებით რომ უნდა მიეღო, როგორც მთავრობას, ისე მკითხველს.

მეოცე საუკუნეში სახელმწიფოთა მეთაურები ფრონტის ხაზზე აღარ დადიან. და თუ გადიან, სატელევიზიო შოუს მოსაწყობად, რათა ისტორიას თავთავიანთი მხედრული მამაცობის ამსახველი ეპიზოდები შემოუნახონ.

ეს მამაცობა კი ედუარდ შევარდნაძისათვის ყოველდღიურობა გახდა (და ამაში კიდევ ერთხელ, უკვე მეოცე საუკუნის დამდეგს გაცხადდა ქართველ სიუზერენთა ბედი), ყოველდღიურობა, რომელიც ადამიანს აძლევს მორალურ უფლებას და ძალას, რომ იბრძოლოს შიშველი ხელებითაც კი. ამიტომ შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ფრონტის წინა ხაზზე მებრძოლმა ბიჭებმა ედუარდ შევარდნაძეს მეტსახელი მოუნახეს. ეს მეტსახელი — ბაბუ — მისი მამაცობით აღფრთოვანებასაც გამოხატავდა და მისი პიროვნებისადმი დამოკიდებულებასაც.

ბაბუ! მან ეს მეტსახელი ფრონტზე მებრძოლი ბიჭებისაგან მიიღო, ბიჭებისაგან, რომლებიც მამულს იცავდნენ, მამულისთვის თავს სწირავდნენ და იმ ადამიანებისადმი ლერსსაც გამოხატავდნენ, ვინც ამის ღირსად მიაჩნდათ.

ბელადს არასოდეს არ ეძახიან ბაბუს. ბელადს ეძახიან წინამძღოლს, მხსნელს და მსგავს სხვა ათასს. ხოლო ბაბუს ეძახიან ადამიანს, რომელიც თავისად მიაჩნიათ. ბაბუ — სიყვარულის დამადასტურებელია და არა ზიზღისა, თანადგომისა და არა შიშისა.

შემდეგ, 16 სექტემბერს ეს ადამიანი მიდის რა იმათთან, ვის გვერდით დგომაც თავის ადამიანურ და სახელმწიფოებრივ მოვალეობად მიაჩნია, აეროპორტში, კორესპონდენტთან საუბრისას წარმოსთქვამს ტრაგიკულ ფრაზას:

— მივდივარ სოხუმს, რათა შიშველი ხელებით დავიცვა ქალაქი— ეს ტოტლებენის მიერ მოტყუებული მეფე ერეკლეს წარმოსათქმელი რეპლიკაა იმ ტრაგედიიდან, ქართული ყოფისათვის რომ გახლავთ დამახასიათებელი.

და წავიდა.

წავიდა და დაიწყო კიდევ ერთი ომი ქართველი კაცისა მტერთან. უფრო სწორად მტრებისა ქართველ კაცთან. ამ მტრებს კი სრულიად სხვადასხვა სახელი ჰქვიათ, სხვადასხვა ეროვნებებს წარმოადგენენ, სხვადასხვა პარტიებს, პოლიტიკურ მიმდინარეობებს განეკუთვნებიან — მათ დიდებული, ახლებური შეიარაღება და კარგად გაწვრთნილი მებრძოლნი ჰყავთ. მათი ბრძოლის ამ ეტაპს ამჯერად, ამ დღეებში მხარს არ უჭერს ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო მსოფლიოში, მაგრამ იგივე სახელმწიფოსგან არაფერი არ აკლია — მას ყველაფერი აქვს — შეიარაღებაც და ცოცხალი ძალაც, ამიტომ სოხუმის აღებაში დარწმუნებულია. მაგრამ ამჯერად მისთვის (და არა მხოლოდ მისთვის!) მთავარია სულიერად გატეხოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური — გატეხოს ქართველი კაცი, თუ არ მოკლეს, მისი სულიერი მოდრეკა არანაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ვიდრე სოხუმის აღება. ამიტომ გამალებით იბომბება შენობები, რომლებშიც იგი იმყოფება, ცეცხლს უშენენ იმ სახლებს, საიდანაც ბრძოლას არეგულირებს. მის მანქანასაც სამიოდე მეტრით ასცდენია მტრის ჭურვი. სთავაზობენ დერეფანს, რომ დატოვოს სოხუმი. და რაც უფრო მეტად ცდილობენ მის მორალურ გატეხას, მით უფრო მეტად იკვეთება სახელმწიფოს მეთაურის მოქმედებაში მტრისადმი დაუმორჩილებლობის და სიკვდილთან შერის მოტივი.

ადამიანი ბრძოლას აგებს, მაგრამ მტერს არ ნებდება.

დრო გადის — სიკვდილის ძებნის მოტივი მის მოქმედებაში უფრო და უფრო ძლიერდება და ყველაფერი თითქმის შექსპირული ვნებების დონემდე მიდის — მაგრამ შექსპირთან ყველაფერი ეს შეთხზულია, აქ კი მკაცრი, საძაგელი სინამდვილე. ამ ორთაბრძოლას ვუყურებთ ჩვენ და უფრო მეტს და უფრო გაფაციცებით უყურებს მსოფლიო.

საქართველოში მისდამი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. საქართველოს გარეთ კი, მთელს მსოფლიოში, ერთობ პოზიტიური, უფრო ზუსტად: იგი მოსწონთ მთელს მსოფლიოში, მაგრამ ზოგიერთს არ მოსწონს საქართველოსა და რუსეთში. აი, რამ შეგვყარა ამ ომს, აი, ამან გააჩაღა ომი დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში. მან ეს კარგად იცის. მას მტკიცედ სჯერა თავისი სიმართლისა, სამშობლოსადმი ერთგულებისა, მაგრამ... იგი ადამიანია და სიძულვილიც აკრთობს (არის რაღაც დამამუხრუჭებელი იმაში, როცა იცი, რომ ადამიანთა გარკვეულ წრეს სძულხარ). ამიტომ ცნობიერად, თუ ქვეცნობიერად ანგარიშს უწევს მოძულეს. მით უმეტეს, როცა ხედავს, სიძულვილმა ჩააბა ტოლერანტული ქვეყანა და ხალხი ომში. სიძულვილი სამშობლოს ნაწილს აკარგვინებს და ეს ხდება მაშინ, როცა იგია სამშობლოს ბედის გამგებელი.

და... სიუზერენი ქვეყნისა დაეძებს სიკვდილს!

სახელმწიფოს მეთაურის ამ მისწრაფებასა და სულისკვეთებას მთელი მსოფლიო გრძნობს და ხედავს.

აი, აქ კი უნდა დაისვას ერთი კითხვა: ვინ არის აფხაზეთში სიკვდილის მძებნელი საქართველოს სახელმწიფოს მეთაური?

შესაძლოა, კითხვა რიტორიკულია, მაგრამ მე ეს კითხვა იმიტომ არ დამისვამს, რომ თავად ვუპასუხო. არა, მე მინდა, აფხაზეთში სიკვდილთან არშემპუებელი საქართველოს სახელმწიფოს მეთაური დავინახო იმათი თვალით, ვინც გაოგნებული და შეშფოთებულიც უყურებდა სახელმწიფოს სიუზერენის სიკვდილთან არშეპუებას, იმათი თვალით კი შევარდნაძე ასეთია: დიდი პოლიტიკური მოღვაწე, დემოკრატიული იდეებისათვის მებრძოლი, პიროვნება, რომელმაც მსოფლიოს პოლიტიკაში შეცვალა ბევრი რამ (მე მესმის ოპონენტთა შეძახილი: მან კი არა, დრომ შეცვალა, მოვიდა დრო და მსოფლიო პოლიტიკა შეიცვალაო. მესმის და მზად ვარ კიდეც დავეთანხმო ოპონენტს. კი, ბატონო, დრომ ბევრი რამ შეცვალა, მაგრამ დრომ შემცვლელად სწორედ ედუარდ შევარდნაძე ამოირჩია და არა სხვა. ამიტომ უპრიანია აქვე დავსვათ კითხვა: რატომ, რისთვის, რა ნიშნების გამო ამოარჩია იგი დრომ? აი, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ისევ იმ აზრთან მიგვიყვანს, რომ მსოფლიო პოლიტიკაში სწორედ მან შეცვალა ბევრი რამ). მან საერთაშორისო ურთიერთობებში სილბო და ღიმილი მოიტანა. მე ბედისწერას იმაშიც ვხედავ, რომ 40-იან წლებში ერთი ქართველის მიერ ევროპაზე (თუ მთელ მსოფლიოზე არა!) დადებული ხელბორკილები 80-იან წლებში მეორე ქართველს გაახსნევინა. ამიტომაც დღევანდელი მსოფლიოსათვის ედუარდ შევარდნაძე არის მშვიდობისათვის, ქვეყნებს შორის თანასწორობისათვის მებრძოლი პიროვნება. დასავლეთისათვის კი მშვიდობა ძალიან ბევრს, თითქმის ყველაფერს ნიშნავს, რადგან კარგად უწყიან: თავიდათავი არის მშვიდობა. უამისოდ არ არსებობს დოვლათი, მომავალი თაობა, შენება. არ არსებობს ის, რასაც ერთი შეხედვით უბრალო, თითქოს გაცვეთილი, მაგრამ ყველაფრის დამტევი სიტყვა — ცხოვრება — ჰქვია.

და აი, ასეთი ადამიანი ფრონტის წინა ხაზზეა.

აი, ასეთი რენომეს მქონე ადამიანი, შესაძლოა, ყოველ წუთს მოსპონ, გაანადგურონ.

უფრო მეტიც:

აი, ასეთი ადამიანი ფრონტის ხაზზე სიკვდილს დაეძებს.

აი, ასეთი ადამიანი ცეცხლმოდებული, დანგრეული ქალაქიდან მსოფლიოს მიმართავს ტრაგიზმით აღსავსე წერილით. ყუმბარების ბათქა-ბუთქში, სისხლის, დაუნდობლობის, ღალატის გარემოცვაში ნაშუაღამევს პოლიტიკოსი მსოფლიოს მიმართავს წერილით, რომელიც ამ მსოფლიოს კიდევ ერთხელ არწმუნებს, რომ მან, მსოფლიომ, უტყუარად სწორად შეაფასა ეს პიროვნება.

და მსოფლიო შეძრწუნებულია ედუარდ შევარდნაძის ბედის გამო. ედუარდ შევარდნაძე კი საქართველოს სახეა, მისი მდგომარეობის, ბედის მკაფიო გამოხატულება. ამიტომ იწყება პიროვნების გაიგივება ქვეყანასთან, პიროვნება და მისი სამშობლო ერთ სიტყვაში, ერთ განზომილებაში წარმოიდგინება და იბადება მოწოდება: ე. შევარდნაძე და მისი სამშობლო საქართველო უნდა გადარჩნენ.

ე. შევარდნაძე და მისი სამშობლო საქართველო...

და რახან მსოფლიოს ასე სწამდა შევარდნაძისა, სჯეროდა მისი ნამოქმედარისა, ე. შევარდნაძის ფენომენისადმი ნდობა გადააქვს მის ქვეყანაზეც. ამით საქართველოს მართალ საქმეს ვერ ერევა დეზინფორმაცია, საქართველოს მართალ ბრძოლას ვერას აკლებს უზარმაზარი იმპერიის დაუბრება: პიროვნებისადმი ნდობის ფაქტორმა განაპირობა ის, რომ მსოფლიომ ირწმუნა: ედუარდ შევარდნაძე, ადამიანი, რომელიც სხვა ქვეყნებს წართმეულ თავისუფლებას უბრუნებდა, აქ, თავის სამშობლოში თავისუფლებას არავის წაართმევდა, სხვათა თავისუფლების დათრგუნვისათვის არც საკუთარ სიცოცხლეს გასწირავდა. მაშასადამე, **ედუარდ შევარდნაძე დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში მამულს იცავდა. ასე რომ, იმ ტრაგიზმით აღსავსე დღეებში ე. შევარდნაძემ მსოფლიო დაარწმუნა: საქართველოს სახელმწიფოს მეთაური სოხუმში ომს კი არ იწყებდა, იგი, ქართველი კაცი, ისტორიულ სამშობლოს იცავდა.** მან მსოფლიო დაარწმუნა, რომ საქართველოსათვის აფხაზეთი შექმნილი ტერიტორია კი არ არის, რომლის დაკარგვაც დღეს არაფრით არ სწადია, არამედ ისტორიული სამშობლო, მამული. ცხადია, სამშობლოს განცდა დიდი ისტორიული მეხსიერების ერებს უფრო აქვთ, ვიდრე იმათ, ვინც გვიან დამკვიდრდნენ ამქვეყნად და უზარმაზარი იმპერიებიც შექმნეს, მაგრამ ე. შევარდნაძე — საქართველოს ტკივილი უმცროსი თაობის ერებმაც და სახელმწიფოებმაც გაიგეს. ამას ის მოჰყვა, რომ ედუარდ შევარდნაძეზე ჩამოყალიბებული აზრი — ე. შევარდნაძე აგრესორი კი არა, სამშობლოს დამცველია — ყველა იმ ჯარისკაცზე გადადის, ვინც აფხაზეთში იარაღით ხელში დგას. გადადის მთელ საქართველოზე.

ეს კი უდიდესი გამარჯვებაა დამარცხებული საქართველოსი.

ეს არის ზნეობრივი სახე და გამარჯვება საქართველოსი.

ამით ომს დაერქვა წაგებული ომის სახელი, თორემ აფხაზეთი კვლავ საქართველოში იგულისხმება, ისევე როგორც დავით აღმაშენებლამდე მტრისგან მიტაცებული თბილისი იგულისხმებოდა საქართველოში.

• • •

ვიღაცამ თავისი წინდაუხედაობით, თუ გამიზნულად (ალბათ, იმისათვის, რომ ერში სკეფსისი, საკუთარი ძალებისადმი ურწმუნობა დათესოს) წამოისროლა ფრაზა: დასავლეთმა მოატყუა საქართველო, დასავლეთმა გასაჭირში მიატოვა შევარდნაძე.

არ არის სწორი:

დასავლეთს არც საქართველო მოუტყუებია და არც შევარდნაძე მიუტოვებია. ჩვენ მივატოვეთ რეალობა და ჩვენ ვიტყუებთ თავს: არა, დასავლეთი კავკასიაში თავის ჯარისკაცს არ გამოგზავნის. ეს ჩვენ ვიქმნით ილუზიას, რომლის დამსხვრევის შემდეგ მსხვერპლად მივიჩნევთ თავს.

არა, დასავლეთი მტკიცედ მისდევს, ერთ გეზს: გასაჭირში ჩავარდნილს უნდა დაეხმარო, მაგრამ ყოველმა ქვეყანამ, ყოველმა ხალხმა თავად უნდა იპოვოს თავისი ისტორიის განვითარების გზა.

გურამ ბათიაშვილი.

ინფორმაცია 93

საქინფორმის ლენტიდან

ყველაფერი თავისით კეთდება

თუ კომუნისტების დროს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შემცირებისთვის ბრძოლას შედეგი არ მოჰყოლია, დღეს ყველაფერი თავისით მოგვარდა.

რესპუბლიკის დასავლეთ რაიონებში პრაქტიკულად დამთავრდა ჩაის კრეფა. წინასწარი მონაცემებით, აჭარაში მოკრეფილია 29.756 ტონა მწვანე ფოთოლი, რაც პროგნოზირებული მოსავლის 77 პროცენტს შეადგენს. მეჩაიეობის წამყვან ოზურგეთის რაიონში შესაბამისად მოკრეფილია 29.890 ტონა და 59,5 პროცენტი. მთლიანად კი, სტატისტიკური მონაცემებით, ნავარაუდევი სამასი ათასი ტონა მოსავლიდან მოკრეფილია 182.500 ტონა.

მივყვეთ დინებას და საბრძოლილიც არაფერი დაგვრჩება.

სოციალურად დაუცველთათვის

მსოფლიოს ქალაქებს, სადაც წითელი ჯვრის სამკურნალო დაწესებულებები მოქმედებს, ქუთაისიც შეემატა. ქალაქის პირველი სავადმყოფოს ბაზაზე გაიხსნა ამ უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაციის 30-საწოლიანი კლინიკა.

აქ უმკურნალებენ სოციალურად დაუცველ პაციენტებს, მათ შორის მარტოხელებსა და უსახსროდ დარჩენილებს.

კლინიკას ემსახურება ექიმებისა და მოწყალების დების ჯგუფი, რომლებმაც წინასწარ გაიარეს მომზადება. თითოეული მათგანი ხელფასის დანამატს წითელი ჯვრის რესპუბლიკური ფედერაციიდან მიიღებს. ფედერაცია გაიღებს აგრეთვე კვებისა და მედიკამენტების ხარჯებს.

სტიქია მთებში

რამდენიმე დღეა აჭარაში კოკისპირულად წვიმს. ხულოს რაიონში ადიდებულმა მდინარეებმა და მეწყერმა წალეკა ხიდი სოფელ დანისპირულაში, შეწყდა მიმოსვლა ბათუმ-ახალციხის მაგისტრალზე. გზის მონაკვეთი ხულოდან გოდერძის უღელტეხილამდე მეწყრებით არის ჩახერგილი. დაზიანდა ბევრი ობიექტი, მათ შორის, ხულოს ავტოსატრანსპორტო საწარმო. დაინგრა ბაგა-ბაღი სოფელ ცხალკაში. სამწუხაროდ, არის მსხვერპლი.

— ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ,—უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ისმეთ დიასამიძემ.

გინახავთ ხიდი...

ამასწინათ აჭარის სოფელ ცეცხლაურისა და ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურის მცხოვრებლები სასიამოვნოდ გაკვირვებულნი დარჩნენ, როცა დაინახეს მდინარე ჩოლოქზე ამ სოფლებს შორის ხელახლა გადებული ხიდი. საქმე ის არის, რომ გვერდით მდებარე ხიდი უკვე დიდი ხანია შესაკეთებელი იყო, მაგრამ როგორც კი სამუშაოებს შეუდგნენ, ატყდა ერთი აურზაური — როგორც საქართველოს, ისე რუსეთის, კერძოდ მოსკოვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებოდნენ თითქოს აეფეთქებინოთ აჭარა-გურიის დამაკავშირებელი ხიდი.

სინამდვილეში არავითარი აფეთქება არ ყოფილა. დაიწყეს ძველი ხიდის დაშლა, გვერდით კი სულ ორ დღეში გადეს ახალი ლითონის ხიდი, რომელიც გაცილებით მეტ დატვირთვას უძლებს.

„იბერიის" ლენტიდან

აფეთქება საავადმყოფოში

11 ნოემბერს, როდესაც მთელ ქალაქში გათიშული იყო ელექტროენერგია, საღამოს 18.30 საათზე მოხდა აფეთქება ქალაქის № 1 („არამიანცის") საავადმყოფოს პირველ კორპუსში (კარდიოლოგიური კორპუსი). ძლიერ დაზიანდა შენობის მარჯვენა ფლიგელი. მწყობრიდან გამოვიდა ძვირფასი რენტგენოლოგიური აპარატურა. ამავე დროს მოხდა აფეთქება საავადმყოფოს გვერდით მდებარე საცხოვრებელ სახლშიც.

„და მე ავტირდი, ვით..." მათხოვარი?!

რედაქციაში ურთულესი როლი შემომთავაზეს. მართალია, უარი არ მითქვამს, მაგრამ მთელი ღამე ფიქრში გავატარე...

და აი, უჩვეულო წარმოდგენა დაიწყო.

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:

მათხოვარი — ლეილა კოშკაძე („პროფესიაგამოცვლილი" ჟურნალისტი),

ფოტორეპორტიორი — თედო ნიკოლაიშვილი (თავის ამპლუაში).

მასობრივ სცენებში მონაწილეობენ: თბილისელი მოქალაქეები, პოლიციელები, გვარდიელები, ქურდები, მეძავეები, სპეკულანტები, მაწანწალები, ყაჩაღები, ყოჩაღები, ყეყეჩები, ყოყლოჩინები და ა. შ.

მოქმედების ადგილია ნავთლუღის ბაზრის შესასვლელი.

დილაა, გადაუღებლად წვიმს. გადამყიდველებს შორის ვდგავარ, მარჯვენა ხელში ჩაბღუჯულ ქუდში ნაგავივით ჩაყრილ კუპონებს დავცქერი და ვფიქრობ.

— ქართველებს ზნეობრივი მუხრუჭები მოგვეშალა და თავქვე დავეშვით, მიზეზები და შედეგები „მომშლელებმაც" კარგად იციან და „მოშლილებმაც", ამიტომ ყველამ, ვისაც შნო და მარიფათი აქვს, ფულის მოხვეჭა დაიწყო. ვნახოთ, ყველგან, ყველასთან და ყოველთვის იჩენენ თუ არა გულმოწყალებას „ფარახვეტიები?!" ვნახოთ, როგორ ხვდება თავად შეჭირვებული დედაქალაქი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხელგაწვდილებს. რას განიცდის თვითონ მათხოვარი?

თურქულტყაოსან — ლიპოსანს წინ გადავუდექი, შავ ხილაბანდს ქვემოდან შესაბრალისად ვუყურებ (გარდასახვა არ მიჭირს, რადგან მე და ჩემი კოლეგები ამ პერსონაჟისგან მაინცდამაინც არ განვსხვავდებით) და 5 კუპონს ვთხოვ. კოტიტა თითებს შუა კუპიურებიც მოჩანს და რუსული მანეთებიც.

— თავი დამანებე! — უხეშად მიპასუხებს.

მოკრძალებით ვდგავარ. წვიმს. აქტიურობაა საჭირო.

„კლიენტებს" ჩაცმულობისა და პოლიეთილენის პარკებიდან თავმომწონე პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით ვარჩევ.

აი, 25-ათასიანი ვაშლითა და მსხლით დახუნძლული, ნაპატივები და ჩასუქებული ყმაწვილი მოახლოვდება.

— ხუთი კუპონი! — ვემუდარები და ქუდს ვუწვდი.

—შენს თავს ვფიცავარ, არა მაქვს.

ტყუილზე მიფიცებს, გამწირა ამ ოჯახქორმა!

— შეუდარებელი ქოსატყუილა! ხმამაღლა წამომცდარი დასკვნა ურიკას ბორბლების ხმაურში მიწელდება.

— შემეწიეთ!

შავ სპეცტანსაცმლიანი, შავულვაშა იეზიდი ათასი კუპონით მასაჩუქრებს.

— შემეწიეთ...

— მეც შენნაირი მათხოვარი ვარ, — მეუბნება ქალი. ზანტად, უხალისოდ ხსნის ჩანთას და პარიკთან ერთად, თავზე მოხდენილად რომ მახურავს, თვალები ლამის მის „მათხოვრულ" საფულეში ჩამიცვივდეს. გაწვდილ ქუდს მხოლოდ ხუთკუპონიანი ემატება.

ბაზრის ჭიშკარს შავი ვოლგა მოადგა. იღება კარი. თავიდან ფეხებამდე ტყავებში გამოხვეული ქალი გადმოდის. მივეახლე, ამრეზით შემომხედა, ცოტა ხანში ბაზრიდან ძეხვეულ-თევზეულით დატვირთული ბრუნდება. ახლა მე ვუყურებ ამრეზით, მაგრამ ჩემს ემოციურ გამოხდომას რა თქმა უნდა, ჩემი „ყულაბა" არ შეუვსია. ახლა მოქალაქეობრივი პოზიციების გამოხატვის დრო არ არის. მათხოვარმა უნდა იმათხოვროს.

სევანში დაბადებულ-გაზრდილ „სიგას" (ცხრა ცალს!) ყიდულობს გადაპრანჭული ქალი. ვაჭრობას არ ვაცლი, მოწყალებას ვთხოვ, მაიმედებს, ჯერ ამას გადავუხდი და მერე შენ მოგხედავო. თევზებს ქაღალდში უხვევენ და გარბის.

— ქალბატონო, ქალბატონო! — მივდევ, მაგრამ ვგრძნობ, მილეთის ხალხში „დაჭერობანას" თამაში (ასაკს რომ თავი დავანებოთ) ჩემი სოციალური მდგომარეობის ქალს არ ეკადრება და ბედს ვემორჩილები. „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგნით განაწირსა".

— აჰა, შენ, ვალუტა! — ახალგაზრდების ჯგუფს თავმომწონედ გამოეყოფა ერთი. 10-ათასიან დაფხრეწილ კუპიურს აფრიალებს, ქუდში აგდებს და აღტაცებაში მოჰყავს ბაზრის საზოგადოება.

თედო ნიკოლაიშვილი შესანიშნავი პარტნიორია. თავის მოვალეობას სერიოზულად ეკიდება და ხელს უწყობს ჩემს წარმატებას, შესაფერის მომენტში აფიქსირებს ხან ჩემს მწუხარე ანფასს, ხან არანაკლებ მწუხარე პროფილს. ამას ისეთი მონდომებით აკეთებს, რომ ზოგიერთს ეჭვი ეპარება — აქ რაღაც არაჩვეულებრივი ხდებაო და ჩემს გარშემო ჩნდება კუპონფოთლოვანი ტყე.

ფოტოაპარატის ჩხაკუნზე გულმოწყალების დემონსტრირებას ახდენენ მდიდრები. ღარიბები კი პირიქით, გულწრფელად, მოკრძალებით ცდილობენ სიკეთის ქმნას. მაინც რა გულთბილი, გულჩვილი და გულუბრყვილო ხარ, ჩემო ჭაღარა თბილისო. ყველას ცრემლების როგორ გჯერა, შე დალოცვილო? როგორ უძლებ იმ მძიმე ტვირთს, მრისხანე დრო-ჟამმა რომ აგკიდა, მაინც როგორ წვდება ყველას შენი მზრუნველი ხელი?

— რა იყო, რა სულ შენ გიღებს? — ბრაზობენ ბაზრის კართან ატუზული „კოლეგები".

— სიმპათიური ვარ და იმიტომ! — ვქირქილებ და დროს არ ვკარგავ, ქუდს ვიღაცას ვუწვდი.

— შემეწიეთ...

— შენ არა, შენ არა! — ბოდიშს ვუხდი ათიოდ წლის შავტუხა ბიჭს, რომელიც დგას და თვალცრემლიანი მიყურებს. გარბის, ცოტახანში 500 კუპონით ბრუნდება და ქუდში მიგდებს. მერე ახალგაზრდა ქალთან ერთად მოდის და ახლა მას აძულებს 1000-კუპონიანი ჩამიგდოს.

— შენ ხომ უკვე მომეცი, შვილო! — ვლუღლუღებ და იმპროვიზაციის უნარს ვკარგავ...

ფიქრით ჩემს „დებიუტს" ვუბრუნდები, წეღან ფოტორეპორტიორის მოლოდინში მეტროს სადგურ „სამგორში" რომ შედგა. კახეტიკუნტ მგზავრებს გაუბედავად ვუახლოვდებოდი და ჩურჩულით 5 კუპონს ვთხოვდი. მარტონი იყვნენ და ცივი უარით გასტუმრება არ უჭირდათ. გვარდიელის ფორმაში გამოწყობილი ახოვანი, ლამაზი ყმაწვილი შევაჩერე. შეწუხდა და ალალად გაიკვირვა: ხუთასკუპონიანი მაქვს, იმას ხომ ვერ მოგცემო.

მხრები ჩამოვყარე, მათხოვრების ბედზე, ჩემი და ჩემი კოლეგების ხვალინდელ დღეზე დავფიქრდი. ღმერთმა ნუ ქნას, კონანდოილის ერთ-ერთი ნაწარმოების პერსონაჟივით ამ როლს „მოვერგო" და ჟურნალისტის პროფესიაზე ხელი ავიღო.

გვარდიელი შემობრუნდა, შემომხედა, თვალებში სიკეთე და სევდა ჩასდგომოდა, ვინ იცის ვინ გაახსენდა, ჯიბეები მოიჩხრიკა და რაც იპოვნა, ის გამომიწოდა.

— ქალბატონო, აქედან მიბრძანდით! — ფიქრი შემაწყვეტინა პოლიციელის თავაზიანმა, მაგრამ დაჟინებულმა მომართვამ.

ვგრძნობ, ეს ახალგაზრდა კაცი ახალ პროფესიას მაკარგვინებს, აქ მირჩევნია, — ვჭიუტობ და თედო ნიკოლაიშვილს თვალებით საზოგადოებრივი წესრიგის დამცველისაგან დაცვას ვთხოვ.

თევზისა და „სნიკერსის" გამყიდველი ქალები ჰიჭყინებენ, წადი აქედან, შენს გამო ვერაფერი ვეღარ გაგვიყიდიაო.

სანამ პინგ-პონგის ბურთივით აქეთ-იქით მაგდებდნენ, ახალგაზრდა კაცი თედოს ხარივით დაეტაკა.

— ჩემ ხალხს ნუ იღებ, თორემ მე ისეთი ვარ, მიწიდან ვიღებ კაცსო.

— ჰო, ჰო, გეტყობაო! დინჯად უმოწმებს თედო და გადასაღებ მოედანზე შინაურ „ვარსკვლავს" უმიზნებს ფოტოობიექტივს.

ვინ იცის, ნავთლუღის ბაზრის ტერიტორიით შემოსაზღვრულ სცენაზე რამდენი მრავალაქტიანი დრამა და ფარსი თამაშდება, რა ემოციები დუღს, რა ურთიერთობები იხლართება, მაგრამ ჩვენ ერთ საათზე მეტ ხანს ვერ გავუძელით.

• • •

ფული დავითვალეთ: — 13 330 კუპონი ერთ საათში. არცთუ დამწყები ჟურნალისტის სამი დღის ხელფასია.

„ და მე ავტირდი, ვით"... მათხოვარი?!

ლეილა კოშკაძე.

P.S. მთავარი მოქმედნი პირნი ბოდიშსა და მადლობას ვუხდით ყველას, ვინც 9 ნოემბერს, დილის 9 საათიდან 10 საათამდე მეტროს სადგურ „სამგორსა" და ნავთლუღის ბაზრის შესასვლელთან შეეწია შავებში გამოწყობილ კაფანდარა მათხოვარს.

შეგროვილი თანხა გუშინ ერთ-ერთ ლტოლვილ ოჯახს გადაეცა.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

გაუფრთხილდით მსაჯებს

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მორიგმა სხდომამ 3 საათს გასტანა — ვნებათაღელვამ ვერის ბაღის მიხეილ კეკელიძის სახელობის სპორტული კომპლექსიდან კოლეგიის დარბაზში გადაინაცვლა, გულშემატკივართათვის საინტერესო მთავარი საკითხი კი — განახლდება თუ არა ეროვნული ჩემპიონატი — ჯერჯერობით უპასუხოდ დარჩა.

რაც შეეხება დედაქალაქის გუნდების — „თბილისისა" და „დინამოს" ამასწინანდელ შეწყვეტილ შეხვედრას, მის თაობაზე შემდეგი განაჩენი გამოიტანეს: გელა დარსაძეს („დინამო") მიეცა 5 თამაშით დისკვალიფიკაცია, ხოლო მისი კლუბი დაჯარიმდა 300 000 კუპონით და 0 ქულა ჩაეთვალა. მხედველობაში მიიღეს ის გარემოება, რომ დინამოელთა მთავარი მწვრთნელი ვაჟა ჭკუასელი ახალდანიშნულია და ამიტომ მისი პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი არ დასვეს, შემდგომში კი ანალოგიური ინციდენტების გამეორების შემთხვევაში, სხდომის მონაწილეთა ერთსულოვანი მოთხოვნით, უმკაცრეს სანქციებს სწორედ გუნდების მთავარ მწვრთნელთა მიმართ გამოიყენებენ. ამასთანავე, ხაზგასმით აღინიშნა, რომ „თბილისისა" და „დინამოს" თამაში არბიტრს — გიორგი ავალიშვილს შეჯიბრების დებულების სათანადო მუხლის სრული შესაბამისობით შეუწყვეტია. სხვათა შორის, აქვე დავძენთ, რომ მთავარმა მსაჯმა, რომელსაც, მისივე სიტყვებით, ბრალდებულის როლში მოუწია ყოფნა, მწვავე განხილვის დროს დატოვა დარბაზი.

სხდომაზე ყურადღება მიაქციეს „თორსის" კალათბურთელის დავით თორთლაძის მიერ რუსთავის „აზოტთან" მატჩის შემდეგ გამოვლენილ „მოჭარბებულ ემოციებსაც". მას ამჯერად პირობითი დისკვალიფიკაცია აკმარეს.

მკითხველებს ალბათ, აინტერესებთ, უწერია თუ არა მესამე ეროვნულ ჩემპიონატს გაგრძელება და დასრულება. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ ასპარეზობის ორგანიზატორები უზრუნველყოფენ ტურნირის საკმაოდ მცირერიცხოვანი მომსახურე მსაჯების სავსებით გასაგები მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომელთაგანაც, უმთავრესად მიგვაჩნია სარბიელის საიმედოდ დაცვა (მით უმეტეს, არსებობს წლევანდელი აგვისტოთი დათარიღებული, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მიერ ხელმოწერილი, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული სამთავრობო დადგენილება) და მსაჯების სრულფასოვანი ანაზღაურება.

ფედერაციის შემდგომი სხდომა ერთ კვირაში გაიმართება. იმედი ვიქონიოთ, რომ იგი ქართული კალათბურთის ხვალინდელი დღისათვის სასიკეთო გადაწყვეტილებას მიიღებს.

„მერანის" მეორედ დაბადება

ჭადრაკის ქართველმა მოყვარულებმა ძვირფასი საჩუქარი მიიღეს — ჩვენებური საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი პრობლემებით გამოწვეული ორწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ აღდგა რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაციის გაზეთის — „მერანის" გამოცემა (მთავარი რედაქტორი — გიგლა გოცირია). გაზეთის დამფუძნებლები არიან ჭადრაკის ფედერაცია და რედაქციის კოლექტივი, პერიოდულობა — თვეში 2 ნომერი, 1 ცალის ფასი — 500 კუპონი.



პირველი ნომერში ბრძნული თამაშის თაყვანისმცემლებს მრავალფეროვანი საკითხავი მასალა ელოდებათ, რომელთაგან, ბუნებრივია, მოცულობით გამოირჩევა ჭადრაკის გვირგვინისათვის მონტე-კარლოში მიმდინარე ნანა იოსელიანი-სე ცზიუნის მატჩისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები. აქვე წაიკითხავთ მდიდარ სტატისტიკურ მონაცემებს, მრავალფეროვან ინფორმაციებს, ფიშერის ცხოვრებისადმი მიძღვნილ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების დაიჯესტს, წერილში „ბრძოლა როქი... გერმანიის მიმართულებით" უფრო ახლოს გაეცნობით ახლადშექმნილ ქართულ-გერმანულ ოჯახს ქეთევან კახიანისა და იურგენ გერსინსკის შემადგენლობით.

„მერანის" მკვდრეთით აღდგომისათვის მადლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ მისი ყველა მომაგე, განსაკუთრებით კი ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი და ბატონები ალექსანდრე ჩიქვაიძე და ვაჟა შუბლაძე.

ანგარიში გახდა 7:2

მონტე-კარლო. მატჩი მსოფლიო პირველობაზე ქალთა შორის. IX პარტია. ნანა იოსელიანი-სე ცზიუნი 0:1. ანგარიში გახდა 7:2 ჩინელი მოჭადრაკის სასარგებლოდ.

უჩვენებს თბილისი

ეთერში საქართველო

შაბათი

13 ნოემბერი

10.05 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 10.15 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 10.20 — მულტიპლიკაციური ფილმი. 10.35 — მხატვრული ფილმი. 12.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 12.10 — **დრონი** — სატელევიზიო პროგრამა. 15.10 — იმპროვიზაციები თემაზე — „ისტორია". 15.30 — ქუთაისის თოჯინების თეატრი. 16.45 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 „ბუნების კარი". 18.15 — მკლავჭიდელები. 18.45 — პოეზია — ანა კალანდაძე. 18.55 — მრავალსახეობა ეკრანისა — ეძღვნება კინოფესტივალ „ოქროს არწივს" (ნაწილი პირველი). 19.55 — რეკლამა. 20.00 — **„მაცნე"** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — პულსი. 21.05 — მრავალსახეობა ეკრანისა (ნაწილი მეორე). 22.05 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.35 — საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში: „მარგვეთი" (ზესტაფონი) — „დინამო" (თბილისი). 23.15 — ილუზიონი. 24.00 — **ქვეშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა. 0.15 — ილუზიონი (გაგრძელება).

კვირა

14 ნოემბერი

10.05 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 10.15 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 10.20 — მულტიპლიკაციური ფილმები. 10.40 — მხატვრული ფილმი. 12.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 12.10 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 12.40 — დოკუმენტური ფილმი. 13.40 — მღერის თენგიზ ზაალიშვილი. 14.25 — მხატვრული ფილმი. 16.00 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი. 16.20 — რაკურსი. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — ინფორმაცია თქვენი თხოვნით. 17.45 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.55 — საუნჯე — სატელევიზიო პროგრამა. 18.25 — თბილისი და თბილისელები. 18.55 — ექსპედიცია „მამული" წარმოგიდგენთ — დედოფლისწყაროს რაიონი (მესამე და მეოთხე გადაცემა). 20.00 — ქართველი კაცის სინამდვილე — ჯანსულ ღვინჯილია. 20.35 — დოკუმენტური ფილმი. 20.55 — რეკლამა. 21.00 — **მსგეფსი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.00 — საღამო მშვიდობისა! 23.45 — **ქვეშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ორშაბათი

15 ნოემბერი

7.25 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — ფრანგული ენა. 17.50 — გერმანული ენა. 18.25 — ინგლისური ენა. 18.55 — განცხადებები. 19.00 — ანძა — ტელემარკეტინგი. 19.10 — მერიდიანი — საერთაშორისო მიმოხილვა. 19.30 — რამპა. 19.35 — ბიზნესკურიერი. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — საღამოს ისტორიები — ძილისპირული. 20.50 — უკრავს ნინო ქათამაძე. 21.20 — დედოფლის გვირგვინისათვის. 21.35 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. 22.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 — კინოჩვენება „სარკმელი" — იტალიური ფილმი „რომი". 23.45 — **ქვეშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა. 24.00 — კინოჩვენება „სარკმელი" — იტალიური ფილმი „რომი" (გაგრძელება).

სამშაბათი

16 ნოემბერი

7.25 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.45 — ანძა — ტელემარკეტინგი. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — საქართველოს ისტორია. 17.45 — ქართული ლიტერატურა. 18.15 — ომი და სოფელი — თელეთი. 18.45 — ორი ჩანახატი. 19.05 — SOS — ტელეფონი-ავტომატი. 19.20 — ადამიანი და კანონი — სატელევიზიო პროგრამა. 19.50 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — საუბრები ბიბლიაზე — წარღვნა. 21.10 — საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „დილა" (გორი). 22.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 — მხატვრული ფილმი. 23.50 — **ქვეშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

საერთაშორისო კვლევისა და გაცვლის საბჭო

აცხადებს ღია კონკურსს ამერიკის შეერთებულ შტატებში 3, 6 ან 8-თვიანი სტაჟირებისათვის. კონკურსში დაიშვებიან ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებათა კანდიდატები ან პირები, რომლებიც მუშაობენ თავიანთ საკანდიდატო თემებზე.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თემის სეფერატი და წარმოაჩინონ ენის სრულყოფილი ცოდნა.

ანკეტების მიღება შეიძლება
ამერიკის სახლში
თბილისი (ათონელის ქ. 25),
საქართველოს რესპუბლიკის განათლების
სამინისტროში (უზნაძის ქ. 52).
საინფორმაციო ლექცია აირექსის პროგრამის შესახებ ჩატარდება ორშაბათს 16 ნოემბერს 1993 წ. განათლების სამინისტროსა 11 საათზე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 15 საათზე.
საკონტაქტო ტელეფონები: 98-99-68, 98-99-67.

«თბილისის საფონდო ბირჟა»

გადადის რეგულარულ ვაჭრობებზე 1993 წლის 17 ნოემბრიდან.

ნებისმიერი მსურველი, ფიზიკური თუ იურიდიული პირი, მიმდინარე საბაზრო კურსით შეიძენს შემდეგი ემიტენტების აქციებს:

„სასკო" — საქართველოს საინვესტიციო კორპორაცია.
„ბის" — ბირჟათშორისი სადაზღვევო კომპანია.
„კავკასიის ბანკი" — სააქციო კომერციული ბანკი. და ა.შ.

აქციები რეგისტრირებული და ლიცენზირებულია საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ!

განაცხადის ფორმით, მსურველები შეიძენენ: „თბილისის საფონდო ბირჟის" წევრის ადგილს, ბირჟაზე მუდმივი ვაჭრობის უფლებით.
ვაჭრობის დღეები და დრო: ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი — 15 საათზე.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 72, მეორე სართულზე — სავაჭრო დარბაზში.
ფაქსი: 30-10-40, ტელეფონი: 30-11-40.

ნოემბერში ვაჭრობებზე შესვლა თავისუფალია.

„სააქციო უნივერსალური ბანკი „იბერიაბანკი"

აგრძელებს ყველა თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის მიღებას სადეპოზიტო ანაბრებზე ყოველთვიური 10%-ის დარიცხვით.

ბანკი არის თქვენი თანხის ანონიმურობის და დაცვის საიმედო გარანტი!

ზუსტი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: ბაგები, ჭავჭავაძის გამზ. № 80 (ტურბაზის ტერიტორია).
ტელ.: 22-19-88, 98-70-60.

ხსოვნა

დავით ჩეჩელაშვილი

მძიმე დანაკლისი განიცადა ჩვენმა საზოგადოებამ, უკურნებელი სენით გარდაიცვალა დიდებული მამულიშვილი და მეგობარი დავით გიორგის ძე ჩეჩელაშვილი.

დაიბადა 1938 წელს თბილისში. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობისა და საკავშირო კვების მრეწველობის ინსტიტუტის მეღვინეობის ტექნოლოგიის ფაკულტეტები. სპეციალობის მიხედვით სხვადასხვა დროს მუშაობდა ნორიოსა და გარდაბნის მეურნეობებში. 1966-76 წლებში რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტში და კვების მრეწველობის სამინისტროში, შემდეგ გორის საკონსერვო გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილედ, მცხეთის საკონსერვო ქარხნის დირექტორად, ხოლო 1985 წლიდან სიკვდილის უკანასკნელ დღემდე იყო თბილისის № 4 მაცივრის დირექტორის მოადგილე და ხორცკომბინატის მაცივრის უფროსი. დავითს კარგად იცნობდნენ საქართველოში როგორც მაღალი რანგის პროფესიონალს და ნიჭიერ ორგანიზატორს.

ძვირფასო დათო, რამდენი სურვილი დაგრჩა შეუსრულებელი, რამდენი ოცნება აუხდენელი. წახვედი ჩვენგან უდროოდ და დიდად დამწუხრებული დატოვე საყვარელი დედა, ერთგული მეუღლე, შვილები, და, ძმა, საყვარელი მეგობრების დიდი წრე.

შენი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ახლობლების და მეგობრების გულში, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კაცური და მართალი სული.

მეგობრების ჯგუფი.

გიორგი ხვთასი

გარდაიცვალა მანქანათმშენებლობის მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი გიორგი ნიკიფორის ძე ხვთასი. დაიბადა 1939 წელს — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო ჩიბათში. შეიარაღებულ ძალებში სამსახურის შემდეგ — 1964 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა თბილისის საინსტრუმენტო ქარხანაში, იყო უმწიკვლო პიროვნება, თავისი საქმის ერთგული მუშაკი, ნამდვილი პროფესიონალი.

გიორგი ხვთასის ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრებისა და საინსტრუმენტო ქარხნის თანამშრომელთა გულებში.

თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივი.

ვახტანგ წერეთელი

საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი მუშაკი, ძველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, რესპუბლიკის დამსახურებული გეოლოგი ვახტანგ შალვას ძე წერეთელი.

ვახტანგ წერეთელი დაიბადა 1918 წელს ქუთაისში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მთელი ცხოვრება არჩეულ პროფესიას ემსახურა. 1940 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე მან განვლო გზა რიგითი ტექნიკოს-გეოლოგიდან გეოლოგიური ექსპედიციის უფროსამდე. 1978 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოს გეოლოგიური სამიებო ექსპედიციის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა.

ყველგან, სადაც კი უმუშავნია, ვახტანგ წერეთელი გამოირჩეოდა მაღალი პროფესიულობით, ორგანიზატორიული ნიჭითა და მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობით. მან დიდი ღვაწლი დასდო რესპუბლიკის სამთომადნო მრეწველობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი სასარგებლო წიაღისეული საბადოების გეოლოგიური სამიებო სამუშაოების წარმოებისა და ორგანიზაციის საქმეს.

წავიდა ჩვენგან სპეტაკი, კეთილშობილი, მოკრძალებული, ჭეშმარიტი მამულიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიის და კარტოგრაფიის დეპარტამენტი; აღმოსავლეთ საქართველოს გეოლოგიური ძიებითი ექსპედიცია; საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიის და კარტოგრაფიის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭო; საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება.

კიმი კაჭარავა

ტრაგიკულმა ცნობამ, რომ აფხაზი სეპარატისტებისა და დაქირავებული გადამთიელების ხელით დაიღუპა კიმი კაჭარავა, ჩვენამდე მხოლოდ ორმოცი დღის შემდეგ მოაღწია.

მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს იყო იგი სოხუმის მეორე საშუალო სკოლის დირექტორი. მიმდინარე სასწავლო წელიც ტრადიციულად — 1 სექტემბერს გახსნა. ყველაფერი ისე ჩატარდა, როგორც ყოველთვის. მხოლოდ სკოლა იყო დაბომბილი და განადგურებული. მოსწავლეები და მასწავლებლები აგრძელებდნენ მუშაობას, ატარებდნენ მეცადინეობებს მას შემდეგაც, რაც აფხაზი სეპარატისტების მუხანათობით სოხუმი ფრონტისპირა ქალაქი გახდა.

კიმი კაჭარავა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო. მძიმედ დაჭრილი დემობილიზაციით დაუბრუნდა მშობლიურ აფხაზეთს. დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტი და მას შემდეგ მთელი ცხოვრება მიუძღვნა ახალგაზრდა თაობის აღზრდას.

აფხაზეთის ქართული ინტელიგენციის კიდევ ერთი წარმომადგენელი წავიდა ჩვენგან, იმ ინტელიგენციის საუკეთესო შვილი დავკარგეთ, რომლის განადგურებას წინასწარ გამიზნვით ახორციელებენ აფხაზი სეპარატისტები.

სამშობლოსათვის თავგანწირული ვაჟკაცის კიმი კაჭარავას ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

მეგობრების ჯგუფი.

აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა დაქირავებულმა ბანდიტებმა კიდევ ერთი ღვაწლმოსილი ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს, ვერაგულად მოკლეს საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მუშაკი, ქ. სოხუმის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი

კიმი დოროთეს ძე კაჭარავა

სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო.

საქართველოს რესპუბლიკის გაერთიანება „საქლითონის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ აბაშაში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ტრაგიკულად დაიღუპა აბაშის ფირმა „კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტი

ბორის გოგიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულის ოჯახსა და ახლობლებს.

მრავალდარგოვანი ფირმა „ინტერკოსმოსის" თანამშრომლები დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ აბაშაში უკანასკნელ ხანებში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ტრაგიკულად დაიღუპა აბაშის ფირმა „კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტი

ბორის გოგიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ დაღუპულის ოჯახსა და ახლობლებს.

მთავარი რედაქტორი გურამ ბოჭიაშვილი.

მისამართი, 380008, თბილისი, 8. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" [illegible], თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА